პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

1980 | 31 ოქტომბერი, პარასკევი
№ 44 (2221)
გამოცემის 48-ე წელი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო
«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მთელი საქართველოს დღესასწაული

ძველი თბილისის უბნებიდან დიდი ქარავანი დაიძრა, გადაიარა ახალი თბილისი, — რუსთაველის გამზირი, ვაკისა და საბურთალოს უბნები და იპოდრომს მიაშურა, სადაც, დღის ბოლოს, უნდა დასრულებულიყო დიდი დღესასწაული — თბილისქალაქობა. ამ კოლორიტულ, თეატრალიზებულ, მაგრამ მაინც ნამდვილ ქარავანში, გზადაგზა გამოფენილი თბილისელი მოქალაქენი ხედავდნენ ძველებურ ქართულ ურმებს, თავისი ხარ-კამეჩით, თავისი მეურმით, ნაბდისქუდა ბიჭებით... ურმებზე ეფინა ხალხური ხალიჩები და ფარდაგები, თვალს ახარებდა შემოდგომის სოფლის ნატურმორტი — სიმინდი და გოგრა, ყურძენი და კაკალი... ქალაქის ქუჩებს მისდევდა ნამდვილი თუ „ლიტერატურული" სოფელი, თვით ლუარსაბი და დარეჯანიც „ჩამოსულიყვნენ" დიდი ქალაქობის სანახავად...

ქალაქობა კი მართლაც გრანდიოზული გაიმართა. და რაკი სოფლის ბარაქითა და კოლორიტით დავიწყეთ, აქვე ვთქვათ: წლევანდელი თბილისქალაქობა სწორედ ქალაქისა და სოფლის განუყრელი კავშირის დასტური იყო; ქალაქის ზეიმზე თითქოს სოფელი გამოვიდა მასპინძლად, რაკიღა ჩვენი ძალა სოფლიდან იწყება, მიწის სიკეთიდან, მშრომელი კაცის გამრჯე მარჯვენიდან.

თბილისში მთელმა საქართველომ მოიყარა თავი, თბილისქალაქობა მართლაც დედაქალაქურ ზეიმად იქცა.

საზეიმო და საამაყო სწორედ ჰქონდა საქართველოს: რესპუბლიკის მეჩაიეებმა ნახევარმილიონიან ზღუდეს გადააბიჯეს და სამშობლოს 500 ათას ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი ჩააბარეს.

მევენახეებმა 780 ათასი ტონა ყურძენი დაკრიფეს, ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით დამზადებულია 10000 ტონაზე მეტი ყურძენი. წელი ჭირვეული და უამინდო იყო, გვალვა და სეტყვაც ხშირად გვყავდა სტუმრად, და მაინც, მევენახის გარჯამ და ვაზის სიყვარულმა ყველაფერს სძლია: ასეთი ბარაქიანი რთველი კარგა ხანია არ ჰქონია საქართველოს.

არც თვით ქალაქი დარჩენილა სოფლის ვალში: თავი ისახელა ჩვენმა მუშათა კლასმა, ფაბრიკა-ქარხნებმა ახალი, მაღალხარისხოვანი პროდუქცია შემატეს ქვეყანას.

ყოველივე ეს ზეიმის განწყობილებას აათკეცებდა, მოზეიმე თბილისს ლაღ და ხალისიან ფერებს მატებდა.

ახალი სახალხო დღესასწაულები ჩვენში უკვე ტრადიციად დამკვიდრდა. დღესასწაულები შრომის ზეიმია და იგი უკავშირდება ჩვენი სოფლისა და ქალაქის მშრომელთა გამარჯვებებს. ახალი დღესასწაულები იმართება ქალაქის ძველ უბნებში, ან ცნობილ ტაძრებთან თუ ციხე-კოშკებთან, კულტურის ძეგლებთან. უძველესი კულტურის ძეგლი თითქოს ახალი შუქით ნათდება, დღევანდელობის სამსახურში დგება. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს კულტურის ძეგლებზე იმ დიდ ზრუნვას, რაც ესოდენ ნიშანდობლივია ჩვენი რესპუბლიკის ბოლო დროის ცხოვრებისათვის.

თანამედროვეობა პატივს სცემს ჩვენი ხალხის უძველეს ტრადიციებს და წეს-ჩვეულებებს, რომლებიც საუკუნეთა მანძილზეა გამოცდილი და ნაწრთობი. მაგრამ ტრადიცია ერთ ადგილზე არ ჩერდება, იგი ვითარდება, ახალი დროის შესატყვისი ხდება, თანამედროვეობის სამსახურში დგება, მდიდრდება. წლევანდელ თბილისქალაქობაში სწორედ ეს მომენტი გამოიკვეთა — ძველისა და ახლის ჰარმონია, მისი მდიდარი შინაარსი, სიღრმე და მომხიბვლელობა...

თბილისქალაქობა აღმოცენდა მთელი საქართველოს მრავალფეროვანი საზეიმო ტრადიციებიდან, მოსავლის დღესასწაულებიდან, მთვარიანი საღამოების „ლხინიდან", რაც საქართველოს ყველა კუთხეში იმართებოდა, უძველესი და მარად უახლესი ხალხური თამაშობებიდან...

წელს თბილისქალაქობა მეორედ გაიმართა, და თავისი გრანდიოზულობით და მასშტაბურობით, თავისი შინაარსითა და ფორმის მრავალფეროვნებით ყველა მოხიბლა, სტუმარიც და მასპინძელიც. მომავლისათვის უნდა ვიფიქროთ ჩვენი დღესასწაულების, ზეიმების, ხალხური სანახაობების კიდევ უფრო გამდიდრების, გამრავალფეროვნებისა და დახვეწისათვის. ამ საქმეში დიდი წვლილის შეტანა შეუძლია ხალხურ ტრადიციებზე დაფუძნებულ ქართულ მწერლობას. მწერლები და ხელოვნების მუშაკები უფრო აქტიურად ჩაებმებიან სადღესასწაულო მზადებაში.

ჩვენს გამრჯე, მშრომელ ხალხს ყოველწლიურად უფრო მეტი და არნახული მოსავალი მოჰყავს, უფრო და უფრო მაღალხარისხოვანი ხდება მუშათა კლასის ნახელავი, ქალაქელმა თუ სოფლელმა ხალხურმა ოსტატებმა აღადგინეს ერთხანს მიტოვებული ხალხური ხელოსნობის ტრადიციები. სოფლური თუ თბილისური არქიტექტურა დღეს გაბედულად უბრუნდება ტრადიციულ ფორმებს და ეს ყოველივე მოდა კი არ არის, თანამედროვე ცხოვრების წესია. ამ კარგად დაწყებული საქმის უფრო განვითარება და ყოველმხრივ წახალისება ჩვენი ვალია, რადგან ეს საქმე ხალხის სულიერი და ესთეტიკური, პატრიოტული და მოქალაქეობრივი აღზრდის განუყრელი ნაწილია.

## გამარჯვება ნუ მოგშლოდეთ

### ქ. ბაქოში მიმდინარე მწერალთა სრულიად საკავშირო შემოქმედებითი კონფერენციის „ხალხთა მეგობრობა— ლიტერატურათა მეგობრობა"—მონაწილეებს

გულითადად მივესალმები ქ. ბაქოში მიმდინარე მწერალთა სრულიად საკავშირო შემოქმედებითი კონფერენციის მონაწილეებს, რომელიც ეძღვნება სიტყვის ოსტატთა ამოცანებს საბჭოთა ადამიანების ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდის საქმეში.

მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის განვითარება განუყრელია ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ბრძოლისაგან კომუნიზმის გამარჯვებისათვის. იმ დიადი იდეალების სამსახური, რომლებიც ყოველთვის შთააგონებდნენ საბჭოთა ადამიანებს მამაცური შრომისა და მხედრული გმირობისათვის, არის ჩვენი მხატვრული კულტურის სული და გული, მისი პატრიოტული და ინტერნაციონალური შინაარსის წყარო.

დარწმუნებული ვარ, რომ ქვეყნის საქმეები და საზრუნავი კვლავაც იქნება ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ლიტერატორთა ყურადღების ცენტრში, თქვენი ნაწარმოებები კი შემდგომშიაც განუმტკიცებენ მკითხველებს აქტიური მოქალაქეობრიობის გრძნობას.

წარმატებას ვუსურვებ თქვენს კონფერენციას. გამარჯვება ნუ მოგშლოდეთ შემოქმედებითი გეგმების განხორციელებაში.

ლ. ბრეჟნევი

## თბილისის საპატიო მოქალაქენი



## გრანდიოზული, დაუვიწყარი

ორმოცდათხუთმეტი წელიწადია ჩემს თბილისში ვცხოვრობ და ორმოცდათხუთმეტჯერ მაინც მიოცნებია რაიმე ჩვენი ქალაქის თვითმყობადი თავისებურებით, რაიმე „თბილისურით" აღსავსე დღესასწაულზე ჩვენს ქალაქში. მიოცნებია და ზოგჯერ წარმომიდგენია კიდეც რაღაც მსგავსი ასეთი დღესასწაულისა. მაგრამ ასეთ თბილისურს, ასეთ ზეიმს, რაც წელს მეორედ თბილისქალაქობაზე ვნახე, ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი და ვერც ვინატრებდი...

გრანდიოზული, ზეაღმაფრენი, „თბილისური", დაუვიწყარი!....

ვაშა ამ ზეიმის შემოქმედთ!

ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქე! — ბედნიერი ვარ სიკვდილამდე ამაყად ვატარო ეს სახელი, ეს სანუკვარი წოდება.

ირაკლი აბაშიძე

## გმადლობთ

თბილისი — ჩემი საყვარელი ქალაქი არასოდეს არ მინახავს ასეთი. მე ბედნიერი ვარ, რომ მოვესწარი ამას. ის, რაზედაც ალბათ, ოცნებობდნენ ჩვენი შორეული წინაპრები, მხოლოდ დღეს ახდა; იმდღევანდელი სილამაზის, ჩვენი თბილისის ულამაზესი ხედების, უთვალავი ხალხის, საოცრად გახარებული სახეებისა და გულიანი ღიმილის ყურება სიხარულის ცრემლის გარეშე შეუძლებელი იყო.

განუმეორებელია ჩვენი დედაქალაქის დღესასწაული, რომელშიც მთელი თბილისი მონაწილეობს.

უდიდესი მადლობა იმათ, ვინც გულთან ახლოს მიიტანეს და აღადგინეს ჩვენი საყვარელი დედაქალაქის ძველი ტრადიციები.

ვერიკო ანჯაფარიძე

## დიდი დღეობა

ბევრი დღეობა მინახავს, ალავერდობა, გერისთობა, ლომისობა... ბევრი მათგანი გრანდიოზული იყო, ჩარდახიანი ურემი ურემს მოსდევდა და თავიდან ბოლომდე თვალს ვერ გადაუწვდენდი...

მაგრამ ისეთი დიდი დღეობა, როგორიც თბილისქალაქობაა, არც მინახავს და არც მახსოვს! მერე როგორ უხდება იგი თბილისს. ჩვენს ქალაქს ხომ დღეობა არასდროს ჰქონია, მას სძარცვავდნენ და არბევდნენ. უნებლიეთ მახსენდება გ. ლეონიძის სტრიქონები: „მე ვკითხულობდი ქართლის ცხოვრებას, წუხელის დიდხანს, გათენებამდი, როგორ გლეწავდნენ, ჩემო ქალაქო, სისხლის მოედნებს როგორ ლებავდი".

„ჰეი, თქვენ, არაგველებო, გაუმაძღარნო ომითა", ან შენ, ლეგენდად ქცეულო არსენა ჯორჯიაშვილო, ან თქვენ, მეტეხის ციხის ჯურღმულებში ამოხოცილნო — ნეტა წამოგახედათ, ნეტა დაგანახათ, რომ თქვენი სისხლი ია-ვარდად გაიშალა, გამოიღო ნაყოფი და როგორი ნაყოფი?!

თქვენ ხომ იმისთვის იბრძოდით, რომ თქვენი ქალაქი პირლიმილიანი გენახათ! დიდი ბრძოლისა და შრომის შემდეგ მშვენებაა სიცოცხლის გამარჯვება! და აი, 26 ღვინობისთვეს თბილისი საზეიმოდ იღიმოდა. მზრუნველობის გარეშე არ მოსულა ეს ღიმილი, იგი რომ შეინარჩუნო, მოვლა უნდა. რესპუბლიკის, დედაქალაქის ხელმძღვანელობა სწორედ ასე უვლიდა მას და სწორედ ეს ზრუნვა წინაპართა სისხლზე ამოსულ ვარდ-ყვავილებს მალამოდ დაედო და კიდევ უფრო გალაღანდა და გაიშალა.

ჩემი სიცოცხლის ოთხმოცდასამი წლიდან სამოცდათოთხმეტი წელი თბილისში გავატარე და ისე გულსავსე, კმაყოფილი ვყოფილიყავი, როგორც ამ დღეობის დროს ვიყავი, არ მახსოვს. მიხარია, რადგან ამ დღეობის აღდგენაში ვხედავ ჩემი ხალხის, ჩემი ერის უკვდავებას. არდავიწყება თავისი წარსულისა, ტრადიციებში ახალი სულის ჩაბერვა და განვითარება საწინდარია ამ უკვდავებისა.

ნიკო კეცხოველი

ჯანსუღ ჩარკვიანი

## ვდღესასწაულობთ გალობით...

შოთა ყავლაშვილს

წმინდისა ანგელოსისა
პირითა გესაუბრები,
თინათინისა სწორისა
ცისფერ და ზესთა
უბნებით.

ვდღესასწაულობთ
გალობით,
ოქტომბრის
ღამისთევითა,
მგოსანთა უებარობით,
სიტყვითა სანატრელითა.

მოიხილე და განკურნე
მტკვარზე ლეკვები
მგლისანი,
უკვდავებისა გვაპკურე
წყარონი თბილისისანი.

წინამც ნათელი
გიძღოდეს
რიყით და ნარიყალითა,
ძველი თბილისი
გიცხონდეს —
ახალსა ვხატავ ყალმითა.

ხონჩით მზის სხივი
მოგართვი,
ვაზისა ჩამონაწური, —
ეს იყოს ჩემი ნობათი,
შენსავე ფერში ჩაწნული.

1980 წელი, 28 ოქტომბერი.
თბილისი.

მორის ფოცხიშვილი

## თბილისქალაქობაზე თქმული

მზე მამალივით შენს მკლავზეც
ყივის,
მზე, როგორც ქორებს,
დააფრთხობს ღრუბლებს, —
უფლისწულივით შენს სხივზე ვივლი,
რომ ვარსკვლავებით გაგივსო უბე!

თბილისო ჩემო, რად გინდა ფიცი,
თუ საჭიროა, სუყველა მყისვე —
შენ კარგად იცი, ო, კარგად იცი, —
კვლავ შენს დიდგორთან
მოკვდება ისევ!

ვამაყობ შენი შმაგი ცხოვრებით,
შენი ვნებით და შენი ფარ-ხმალით,
შენს თბილ საფლავებს ვეამბორები,
შენი სიცოცხლის აკვნებს დავხარი!

სულ მინდა, შენი მთების ვარაყი
ლაჟვარდოვან ცის
ფრთებს დავატოლო,
მქონდეს უფლება, ვთქვა სიამაყით:
— თბილისელი ვარ, ჩემო ბატონო!

მინდა შეიკრას, მინდა შეერთდეს,
შენს სადიდებლად
რაც იმღერება,
ვიყო იქ, სადაც უჭირთ მშენებლებს,
ვიყო იქ, სადაც მწუხრი გერევა.

მინდა დაგადნე მთაწმინდის
მთვარედ,
მინდა გზა მივცე
შენს გამწევ ხარებს!

და ვამბობ: ვაშა, სინათლით
თრობას!
ვამბობ: დიდება შენს ამაყ შვილებს!
ბიჭებს, რომლებმაც იციან ძმობა,
ბიჭებს, რომლებიც
მიზნამდე მივლენ!

ჩემო თბილისო, რად გინდა ფიცი,
ო, სიყვარულთან ფიცი რა არი, —
მძევლებად გიზის უბეში ციმციმ
ჩემი ლელა და ჩემი თამარი!

იჭვს უჭარმაგეს ფერფლად
გადავყრი,
მინდა გიკრეფდე წყნეთურ
გვირილებს,
რომ ჩემმა შვილმაც
სთქვას სიამაყით:
— თბილისელი ვარ, შენი ჭირიმე!

მე შენს მომავალს გრდემლზე
გავჭედავ,
უკვე გაუდით ჩემს მხრებს ჭახანი,—
მზე პირს იბანს და
შენს თბილ ფანჯრებთან
მტრედივით ჯდება დილა ახალი.

დამრჩი ნუგეშად!
ვიბრძვი და ვშრომობ
და შენს ხერხემალს ვაზად ვეხვევი,
ო, მთაწმინდაზე შემდგარო ლომო,
მე ვარ ძლიერი შენი ხერხემლით!

მე ვარ ძლიერი შენი ხალისით,
შენი ქუჩების მწვანე ფილტვებით,—
ლექსო ბებერო, ვიცი, კრწანისის
ყაყაჩოებში გაიფილტრები.

მინდა გუდრონშიც ვნახო ბალახი,
აზრი სიცოცხლე-სიყვარულისა,
მინდა გულდაგულ ვთქვა სიამაყით:
— თბილისელი ვარ, შენი გულისა!

გხედავ — ბობოქრობ, გხედავ —
იზრდები,
ქვეყანას ესმის შენი ფრთების ხმა,—
მე მაქვს იმედი,
მე მაქვს იმედი
შენი მაღალი ალმატებისა!



თბილისობაზე. ბარათაშვილის ძეგლთან.

ფოტო ო. თურქიასი.

# ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით

„ხალხთა მეგობრობა ლიტერატურების მეგობრობაა". — ასეთია ბაქოში ჩატარებული მწერალთა სრულიად საკავშირო შემოქმედებითი კონფერენციის დევიზი. მოსკოვის, ლენინგრადის, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ლიტერატორები, საზღვარგარეთელი სტუმრები იხილავენ პრობლემას — „მწერლის სიტყვა აქტიური ძალაა საბჭოთა ადამიანის ინტერნაციონალურ და პატრიოტულ აღზრდაში".

კონფერენციის გახსნისას სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა გ. მ. მარკოვმა აღნიშნა, რომ ეს კონფერენცია სსრ კავშირის მწერალთა კავშირის უდიდესი აქციაა სკკპ XXVI ყრილობისა და ჩვენი ქვეყნის ლიტერატორთა VII ყრილობის წინ.

შეკრებილნი აღფრთოვანებით შეხვდნენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებას კონფერენციის მონაწილეებისადმი. მისალმება წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ა. ალიევმა.

თავის მოხსენებაში მან აღნიშნა, რომ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გულითადი მისალმება — ეს არის საბჭოთა მწერლებისათვის მიმართული პარტიის შთამაგონებელი დოკუმენტი.

კონფერენციის მონაწილეთა სახელით გ. ა. ალიევმა გულითადი მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს მწერლობაზე ესოდენ დიდი ზრუნვისათვის.

თავისი მარქსისტულ-ლენინური იდეურ-ესთეტიკური პლატფორმით ერთიანი საბჭოთა ლიტერატურა ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების მწერალთა შემოქმედებითი მეცადინეობის ნაყოფია, აღნიშნა ორატორმა, საბჭოთა ლიტერატურა ახალი ტიპის ლიტერატურაა და მისი ქმნილებების ინდივიდუალურ განსხვავებასა და ეროვნულ განუმეორებლობასთან ერთად გამოხატავს ჩვენი საზოგადოების ინტერნაციონალურ ხასიათს, ინტერნაციონალისტურ არსს, საბჭოთა ლიტერატურებისა და თვით მწერლების ძმობას.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საპროგრამო გამოსვლებიდან გამომდინარე დებულებებს და დასკვნებს, და რწმენა გამოთქვა, რომ რევოლუციის მიერ დარაზმული და შთაგონებული საბჭოთა მწერლები კვლავაც იქნებიან საბჭოთა ხალხის გრანდიოზულ მიღწევათა შუაგულში, მთელ გულისყურს მიაპყრობენ ეპოქის მაჯისცემას, შექმნიან ჩვენი შესანიშნავი დროის შესაფერ ახალ ნაწარმოებებს.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი (საქინფორმი).

# დაუდეგარი გულები

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებით მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების, ჟურნალისტიკისა და არქიტექტურის დარგის 1980 წლის ლენინური კომკავშირის პრემია ჩვენი რესპუბლიკიდან მიენიჭათ მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს ა. ვოევოდინს, კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძის შემქმნელ კოლექტივს და კინორეჟისორ ვახტანგ ევგენის ძე მიქელაძეს ფილმებისათვის „წინ, კომუნისტებო!" და „კომკავშირი".

ვახტანგ მიქელაძის ახალი ფილმის შესახებ ამას წინათ „ლიტერატურნაია გაზეტა" წერდა:

„კომკავშირი" — ქართველი რეჟისორ-დოკუმენტალისტის, ცნობილი საბჭოთა რეჟისორის რომან კარმენის მოწაფის, ვახტანგ მიქელაძის ახალი ფილმია.

— წინა ფილმს „წინ, კომუნისტებო!" ერქვა,—თქვა რეჟისორმა— ახალ სურათში ჩვენ ვაგრძელებთ საბჭოთა ხალხის კოლექტიური წინსვლის ჩვენებას. „კომკავშირი" ჩავიფიქრე ბაიკალ-ამურის მშენებლობაზე მოგზაურობის დროს. 1974 წელს, როდესაც ეს მშენებლობა დაიწყო, ჩვენმა ჯგუფმა ადგილზე გადაიღო სრულმეტრაჟიანი ფილმი „ბამი". ბამზე შევამჩნიე ახალგაზრდებში იმგვარი შემართება, საკუთარი პროფესიის იმგვარი სიყვარული, რომ მივხვდი—კომკავშირლებზე დიდი ფილმის გაკეთება მომიხდებოდა.

ფილმი არცთუ ჩვეულებრივია. რეჟისორი არ სარგებლობს დოკუმენტურ ფილმებში მიღებული სადიქტორო ტექსტით; ყველაფერი, რასაც ჩვენ ვხედავთ, გვესმის უკომენტაროდ. წარსული წლების სიმღერები, ძველი ფოტოსურათები, კინოქრონიკის კადრები, ახალი კადრები — ყველაფერი ორგანიზებულია რეჟისორის ჩანაფიქრში.

ფილმში ერთმანეთს ცვლის შავთეთრი და ფერადი კადრები: ნატყვიარი არყის ხეები, დაცხრილული კომკავშირული ბილეთები.

ბევრია კინოქრონიკის მასალები, რაც ხელოვანის ხელში განსაკუთრებული ემოციური ზეგავლენის ძალას იძენს.

ფილმის ავტორებისათვის მთავარია დაამყარონ ცოცხალი, უშუალო კავშირი ეკრანსა და მაყურებელს შორის, რომ თანამედროვე ახალგაზრდამ საკუთარი თავი წინაპრებისა და მამების საქმის გამგრძელებლად ჩათვალოს.

ფილმი მათზეა, დღევანდელ ახალგაზრდებზე...

ამგვარად, წარსულისა და დღევანდელობის კავშირით ფილმი „კომკავშირი" დაეხმარება ახალგაზრდობას, ფეხდაფეხ მიჰყვეს ჩვენი ხალხის გმირულ საქმეებს, დიადი გზების საეტაპო მიღწევებს...

ვულოცავთ ლენინური კომკავშირის პრემიის ახალ ლაურეატებს ამ დიდ აღიარებას.

## აკაკი წერეთლის დაბადების 140 წლისთავისათვის

# ფიქრები აკაკი წერეთელზე

### ჯანსუღ ღვინჯილია

ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა წარსულის გმირთა სახელოვან საქმეებს მაგალითად უსახავდნენ თანამედროვეებს. ცხადია, სხვებიც იყენებდნენ ამ ხერხს, მაგრამ განსაკუთრებით დიდ მწერლებთან არის იგი თვალსაჩინო. ამ ხერხს უკან საგულისხმო სიბრძნე იმალება. ტრადიცია შემთხვევით არ ჩნდება. წარსულის მაგალითებით თანამედროვეთა სულის წვრთნა კი ქართული ლიტერატურის ტრადიციაა, დიდი და თვალშისაცემი ტრადიცია.

„ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო, კურთხევა თქვენდა, ტკბილსახსოვარნო, რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ" (ნ. ბარათაშვილი).

„გმირნო, მამულის მადიდნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება, თქვენითა სახელთა ამაყად წარმოსთქვამს შთამომავლობა" (გრ. ორბელიანი);

„მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი, რომელსაც ვეძებთ, რომლისთვისაც ვსტირით, იგი აღარ გვყავთ, მის მოედანი ჯაგით ავსილა, ვერანად ქმნილა; გმირის დამბადი დიდი საგანი თქვენში სპობილა და წარწყმედილა" (ი. ჭავჭავაძე).

„ნაშთი ძველი დიდებისა არ გამქრალა ჯერაც ყველა... დღესაც მისი შარავანდით ნიშანს გვაძლევს ცისარტყელა" (აკ. წერეთელი);

„გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ!" (ალ. ყაზბეგი);

„ეღირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომა" (ვაჟა-ფშაველა).

ფორმულებივით კონცენტრირებულ სტრიქონებს საგანგებო თავმოყრა არ ესაჭიროება ზემოთ თქმულის დასამტკიცებლად. აქ მთავარია ტრადიციის მასშტაბები. ალექსანდრე ჭავჭავაძის „გოგჩაზე", გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოში", ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისაში", ხოლო შემდგომ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის და ვაჟა-ფშაველას უამრავ ნაწარმოებში წინაპართა ცხოვრებისა და ბრძოლის წესი გადაიშალა მკითხველის წინაშე. დიდი ქართველი მწერლები დაეძებენ აშიშვლებენ წარსულს, როგორც რეალურ სამყაროს, ჩხრეკენ მის ფესვებს, წინაპართა ზნეობრივ საწყისებს, რათა აწმყოს დაანახონ წარსულის წესი და კანონები. ერთი შეხედვით გაუგებრობას ჰგავს ამგვარი დამოკიდებულება. აკი ილია ჭავჭავაძემ თავისი პროგრამა გამოაცხადა: „მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა, რაც უწყალოს დროს ხელით დანთქმულა; მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი, ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს".

მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს ასე. ილია თავისი პროგრამით დაუპირისპირდა დაკარგულ დიდებაზე, დაკარგულ წარსულზე დარდს, და არა წარსულის დიდებას საერთოდ. არა იმიტომ, თითქოს ეს ხევდა და მწუხარება მისთვისაც არ ყოფილიყო მახლობელი, — ყოველი ქართველისათვის მახლობელი იყო იგი, არსებობასავით განუყრელი, მაგრამ დარდსა და მწუხარებას საზღვარი უნდა ჰქონოდა. ილია ჭავჭავაძემდე არაერთგზის გამოიხატა პოეზიის მაღალ ენაზე ეს მწუხარება. დარდისათვის კალაპოტის მეტად დანებება არსებობის გამომფიტველად აქცევდა ხევდას. ამიტომ დაუპირისპირდა წარსულ დიდებაზე დარდს ილია ჭავჭავაძე.

დარდი წარსულ დიდებაზე და წარსულის დიდება თავისთავად დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა გააღრმავეს ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში მოცემული მოტივი, რაც ასე მაცოცხლებელ წყაროდ სჭირდებოდა ქართულ ლიტერატურას და ქართველი კაცის სულს. ეს გახლდათ წარსულის შინაარსის, როგორც გამოცდილების, როგორც არსებობის წესის შეხსენება. ამ ხერხით წარსულის შეცნობა აწმყოს ენერგიად ემატებოდა. წარსულის გაუთავებელი იდეალიზაცია კი დიახაც თრგუნავდა აწმყოს, უმოქმედობისაკენ უბიძგებდა ერს. ამიტომ „უნდა მოვკლათ" წარსულზე დარდი ქართველ მწერლებს და მიეღოთ წარსული, როგორც რეალურად არსებული ქვეყანა, თავისი მდიდარი შინაარსითა და მაგალითებით: „რა ნახეს ქართველთა, გაჭირდა საქმე, მყის ჩაიკეცეს ქუდები თურმე, ხმალს ხელი იკრეს მამაპაპურად და დაირიგნენ თავისებურად".

აი, ეს „მამაპაპურად" იყო მთავარი, როგორც მინიშნება, იგი ანგარიშის გაწევას ავალდებულებდა ქართველ კაცს.

ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს არ გამოპარვიათ მთავარი ძარღვის ფეთქვა. მათ შესანიშნავად იგრძნეს, სად გადიოდა სიცოცხლის ტალღები და რა გზით უკავშირდებოდა დიდი წარსული „აწმყოგამწარებულ" ქართველ კაცს. ქართულმა მწერლობამ მთელი არსებით შეიგრძნო, რომ ფესვები ცოცხალი იყო და გლოვა კი არ გვმართებდა, განახლებისათვის ბრძოლა ხდებოდა აუცილებელი, წარსულსა და აწმყოს შორის კავშირის აღდგენა ხდებოდა საჭირო. ამიტომ ეწინააღმდეგება ილია ჭავჭავაძის „მას ნუღარ ვსტირით..." მისივე შემოქმედების უძლიერეს ტენდენციას. წარსულის ფუნქცია ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედებაში შეცვლილია, გარდასული დიდების დარდზე უარია თქმული.

ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში დიდი ხევდის გვერდით ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა დაინახეს ფასდაუდებელი სიმდიდრე — წარსული თავისი შინაარსით, როგორც ზურგს უკან ჩასაფრებული ენერგია, არა ჩაწრეტილი, არამედ გარინდული ოკეანე, რისი ზედაპირის გადახსნის შემდგომ თვალჩაუდგამი სიღრმეები შემოგვნათებს სახეში.

ქართველი მწერლისათვის ეს დიდი სულიერი ზეიმი იყო: „ნაშთი ძველი დიდებისა არ გამქრალა ჯერაც ყველა".

ეს სიტყვები სწორედ „თორნიკე ერისთავის" პროლოგიდანაა.

მაგრამ ჯერ აკაკი წერეთლის პოეტურ და პიროვნულ ხატზე უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი თქმულა აქამდე, მიუხედავად იმისა, რომ აგერ ახლახან თამაზ ჭილაძემ მშვენიერი წერილით კიდევ ერთხელ შეგვახსენა და გვაგრძნობინა აკაკი წერეთლის პიროვნებისა და პოეზიის მადლი.

ერთი გარემოება მინდა აღინიშნოს: აკაკი წერეთელი თავის პიროვნებაში დიდ წარსულსა და „სვეგამწარებულ" აწმყოს აერთიანებს. საოცრად ჰგავს იგი თავისივე პოემის გმირს — თორნიკე ერისთავს. ისიც საგულისხმოა, რომ აკაკი წერეთელი ქართველ კაცს სულ ღვთაებრივად ამაღლებული, თეთრწვეროსანი, სპეტაკი ეცხადება წარმოდგენაში, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ პოეტი ჭაბუკობას სცემდა ყველაზე დიდ პატივს. არა, ქართველი კაცის ფიქრი და ოცნება ერთ ხატს სცნობს — თეთრწვეროსან, სპეტაკ და ღვთაებრივად ამაღლებულ აკაკის:

„ახოვანი, მშვენიერი, თეთრწვერა და თეთრთმიანი, წინ წამოდგა სასაუბროდ მოწიწებით ტკბილხმიანი. წვერ-ულვაშზე მარგალიტებრ ცრემლი ცრემლზე ეკიდება, მწარის ოხვრით ვერ იქარვებს, გულს რომ ცეცხლი ეკიდება"...

ეს სიტყვები გინდ თორნიკე ერისთავზე გითქვამთ, გინდაც აკაკი წერეთელზე. ერთი უნებური დამთხვევაც არის: პოემაში თორნიკე ერისთავი ამ ხატით ცხოვრობს — „ახოვანი, მშვენიერი, თეთრწვერა და თეთრთმიანი". ძლიერი მეომარი, მტერთ შემმუსვრელი — მხოლოდღა იგულისხმება, არსებითი დარჩენილა — სიბრძნე, სიდინჯე, ზრდილობა. ეს ხატი მოძრაობს დასაწყისიდან დასასრულამდე. ახალგაზრდა აკაკი წერეთელი მხოლოდღა თუ ივარაუდება „განთიადის" ავტორში. მისი ჭაბუკური მოუსვენარი ბუნება, ენერგიულობა თითქოს არც ახსოვს ქართველ კაცს, — სპეტაკი, თეთრწვერა, ღვთაებრივი ხატით უტრიალებს თვალწინ დიდებული მგოსანი.

ქართველი ხალხისათვის რაღაც ერთდროულად, წარსულიდან და აწმყოდან შენივთდა „გამზრდელის" ავტორის პიროვნებაში. თითქოს სამუდამოდ შეეთვისნენ ერთმანეთს. რაღაც მოიტანა თითქოს დავით კურაპალატის დროინდელი ქართველი კაცის ხასიათისა, ჩვევებისა და განწყობილებისა აკაკი წერეთელმა. იგი, მეცხრამეტე საუკუნის უკეთესი იდეების მატარებელი თავის შემოქმედებაში, „გარემოების საყვირი" და თავისი დროის ღვიძლი შვილი, მიწაზე ორივე ფეხით მდგარი პოეტი, მოიცავდა კაც-სიმბოლოს თვისებებს, და ამიტომაც აკაკი წერეთელი ხატად უდგას ქართველ კაცს, მისივე წარმოდგენებისაგან განტვირთული და ამაღლებული. მეცხრამეტე საუკუნის იდეებით დატვირთულმა ცხოვრებამ ქართველი ინტელიგენტის ახალი ტიპი წარმოშვა. ამ იდეების ვნებათაღელვა ილიასთან ერთად აკაკიმ გამოხატა ყველაზე სრულად, მაგრამ ილიას მსგავსადვე ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ საქართველოს აწმყო და წარსული ერთმანეთთან დაეკავშირებინა და აწმყოსათვის წარსულიდანაც ეშველა, არ ყოფილიყო მხოლოდ მომავლის იმედად.

აკაკი წერეთლის პიროვნებაში წარსულისა და აწმყოს ასეთი შეხვედრა წარმოქმნის იმ ღვთაებრივ ხატს, რომელიც აკაკი წერეთელს, მეცხრამეტე საუკუნის მოწინავე იდეების სადარაჯოზე მდგომ ინტელიგენტს, რაღაც არამიწიერს, მიუწვდომელ იერს ანიჭებს ჩვენს თვალში.

წარსული აკაკი წერეთლისათვის არ ყოფილა იდეალიზებული სამყარო, რისი წყალობითაც აწმყოში თავის უსუსურობას გაამართლებდა ქართველი კაცი. ამ თვალსაზრისით ღრმად არის შესასწავლი ქართული ლიტერატურა.

აკაკი წერეთლისათვის წარსული რეალურად არსებული სამყაროა, სადაც ქართველი კაცის ცხოვრების შინაარსია დაკრისტალებული. ამ შინაარსის წაკითხვა ამოცანად იქცა. ამოცანად იგი აწმყოს საჭიროებამ აქცია. ილიამ და აკაკიმ იგრძნეს, „წარსულზე დარდში" რომანტიზაციის ტენდენცია რომ აფარებდა თავს და ამ ტენდენციაზე ხმამაღლა თქვეს უარი. მაგრამ იქვე დაინახეს წარსული, როგორც გრანდიოზული სამყარო თავისი ტკივილებით, ტრაგედიით, უბედურებით, ძლიერებით, მთლიანობით, და ამ რეალური სამყაროს შესწავლას მოანდომეს დიდი დრო.

ისტორიის უტყუარ წყაროებს შემოუნახავთ ცნობები საქართველოს ძლევამოსილი წარსულისა და ქართველი კაცის მთლიანი, ჰარმონიული ხასიათის შესახებ.

ამიტომ ქართული ლიტერატურის უმთავრეს ტენდენციად ქცეული წარსულიდან გამოხედვა სავსებით ბუნებრივი სურვილია და რეალიზმის კანონებით არის ნასულდგმულევი. რომანტიკულის და, მით უმეტეს, იდეალიზებულის დოზა აქ ძალზე მცირეა. ასეთია ვასილ ბარნოვის, კონსტანტინე გამსახურდიას, ნიკო ლორთქიფანიძის, მიხეილ ჯავახიშვილის და ლევან გოთუას ისტორიული ნაწარმოებები. და ეს საგულისხმო მოვლენაა. ეს კია, მუდამ არსებობს საფრთხე, გარეშე თვალს წარსულის ეს რეალისტური ასახვა იდეალიზებულად მოეჩვენოს და პროვინციულ თვითკმაყოფილებად ჩაგვითვალოს. მაგრამ დიდი მწერლების ფსიქოლოგიურად დამაჯერებელი მხატვრული სიტყვა ალბათ აგვარიდებს ამ საფრთხეს. აკაკი წერეთელი, თითქოს გრძნობდაო საბუთიანობის საჭიროებას, „თორნიკე ერისთავის" პროლოგში საგანგებოდ აღნიშნავს: „ნაშთი ძველი დიდებისა არ გამქრალა ჯერაც ყველა".

პოემის პათოსში მეცნიერული არგუმენტის შემოტანას ჰგავს ეს სიტყვები. დღეს საქართველოს ისტორიის თუნდაც ზედაპირულად მცოდნე ადამიანიც არ დაეჭვდება მე-11-12 საუკუნეების საქართველოს დიდებული ხანის არსებობაში.

მაგრამ ქართველი მწერლის ნაწარმოები, უპირველეს ყოვლისა, ქართველი კაცისათვის იწერება. მეცხრამეტე საუკუნის ქართველ კაცს კი საოცრად ესაჭიროებოდა დაკარგული წონასწორობის აღდგენა. ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თაობამ საომარი საშუალება მომავლის იმედიან შენებასა და წარსულის ღრმად შეცნობაში დაინახეს. ქართველ კაცს სჭირდებოდა თავისი დიდებული წარსულის აღდგენილი ხატი და ამიტომ არ გამოიყურება პათეტიკურად აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავის" პროლოგი. ყველაფერი პოემაში ლოგიკურ მსჯელობას არის დაქვემდებარებული. რაოდენ ამაღლებულიც არ უნდა იყოს ინტონაცია, მთელი ნაწარმოების პათოსი მაინც მკითხველის სულის აღზრდას გულისხმობს. დავაკვირდეთ პროლოგს: „ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები? ვინ შეამკოს ღირსეულად ქართველ გმირთა მხარ-მკლავები? ვინ მოგვითხრას მათი საქმე, უთვალავი, საგმირონი, და ან მათზე გადმოსული მადლი ღვთისა და მირონი? ნაშთი ძველის დიდებისა არ გამქრალა ჯერაც ყველა... დღესაც მისი შარავანდით ნიშანს გვაძლევს ცისარტყელა!.. შვიდ სამთავროს მოგვაგონებს მოელვარე ის შვიდფერი და გვამღერებს: „არ მომკვდარა, გაიღვიძებს ისევ ერი!" ამ იმედით ფრთაშესხმული ჩვენი გული სიამით სძგერს და ოცნებაც ლაჟვარდ ფერად წარმოგვიდგენს ქართლისა ერს; წარსულ ნერგზედ ახალ ნამყნის ველოდებით შეხორცებას, მით ვიქარვებთ აწმყო ნაღველს და ვძლევით აღტაცებას".

ქართლის ცხოვრების მატიანე, უცხოელთა ცნობები სავსეა ქართული სამყაროს ძლიერების დამადასტურებელი ფაქტებით. ხალხის გმირული სულის დამადასტურებელი მაგალითები კანონზომიერების შინაარსს პასუხობს და არა შემთხვევითობისა. შემთხვევითობიდან შემთხვევითობამდე გამოვლენილი გმირობა მართლაც ეჭვის ქვეშ დააყენებდა ხალხის შინაგან ძალასა და ერთსულოვნებას. მაგრამ, საბედნიეროდ, „უთვალავი, საგმირონი" საქმეები ქმნიან ერთ განუწყვეტელ ჯაჭვს და, აი, აქ ჩნდება მეცნიერული ანალიზის ელემენტი აკაკი წერეთლის პოეზიაში — „ნაშთი ძველი დიდებისა არ გამქრალა ჯერაც ყველა". და კიდევ: „წარსულ ნერგზედ ახალ ნამყნის ველოდებით შეხორცებას". სერიოზულ, ხანგრძლივ ანალიზს გვავალებს ამ სიტყვებში მოქცეული აზრი. აქ პოეზია ერის არსებობის უარსებითესი ფაქტების ამომხსნელად იქცევა. ასეთი შესავლის შემდეგ კიდევ უფრო გამოკვეთილი ჩანს პოემის ლეიტმოტივი. პოემა პროლოგში გამოთქმული რამდენიმე აზრის განათებას ემსახურება „წარსულ ნერგზედ ახალ ნამყნის ველოდებით შეხორცებას" — აქ არავითარი „იგულისხმება" ან „ივარაუდება" არ არის საჭირო. პირდაპირ არის თქმული პოემის დედააზრზე და საერთოდ პოეტის შემოქმედებით პრინციპსა და პოზიციაზე.

უპირველეს ყოვლისა, ერთ რამეს უნდა მიექცეს ყურადღება. დავით კურაპალატის მიერ გამართული წვეულების გრანდიოზულობა ერის ორგანიზმის სიჯანსაღეზე მიანიშნებს, სვებედნიერი ქვეყნის არსებობას გულისხმობს. განა აკაკი წერეთელმა არ იცოდა, რომ დავით კურაპალატის დროინდელ საქართველოს არც სისხლი აკლდა და არც ცრემლი, არც უბედურება და არც ტრაგედია, მაგრამ ყოველივე ეს ვერ ფარავდა საერთო ძალმოსილებას, უმნიშვნელო ჩანდა ბედნიერების, ძლიერების ხვედრით წონასთან შედარებით. დავაკვირდეთ ამ თვალსაზრისით პოემას. „საქართველოს ყველა კუთხით მოეყარა თავი ერსა". ეს თავის შეყრა ჯანსაღი დამოკიდებულებით არის ნასაზრდოები. მკვიდრობს რწმენა ერთიანობისა და ერთადყოფნისა. გარეშე მტერი დათრგუნული იყო. მშვიდობიანობაა, მშვიდობიანობის დროს კი ერთმანეთისაკენ მიუწევთ გული. გაუბზარავია კუთხეებს შორის დამოკიდებულება. შვენით ერთად ყოფნა, ქეიფი, უნაკლო ტაქტი მართავს ამ ეროვნულ ზეიმს, ერთმანეთის ღირსების ცნობისა და სიყვარულის ტაქტი მართავს. ლხინის ზომა იცოდნენ და ქეიფის მაღალ ხელოვნებას ფლობდნენ. წარმოდგენისათვის ხელმისაწვდომი ხდება ქართველი კაცის სალამი, ქცევა, სადღეგრძელო, თავმდაბლობა... თითქოს ხელით ეხება აკაკი წერეთელი თავის წინაპრებს, იმოდენა ცხოველი განცდაა ჩადებული ამ ნადიმის აღწერაში, იმდენად ღრმად აქვს ნაგრძნობი წარსულის სურათები.

ხუმარასა და ორბელიძის ზმებით თორნიკე ერისთავის „განზრახვა ირკვევა. მეორე დღეს ნადიმს ცვლის სერიოზული დარბაზობა, დარბაზობა, სადაც საქართველოს ბედ-იღბლის მნიშვნელოვანი საკითხები ირკვევა. ახლა აღსდგება საქმიანი დარბაზობის სურათი: მეფის მიმართვა სარდლისადმი, სარდლის პასუხის ფორმა, დარბაზის რეაგირება, თორნიკეს არგუმენტები, გადაწყვეტილების შეუვალობა... ყველაფერი მოწმობს ცხოვრების მაღალ დონეს.

დავაკვირდეთ კიდევ ერთხელ როგორც ნადიმზე, ასევე დარბაზობაზე შეკრებილი წინაპრების დარბაისლობას. დარბაისელი ქართველი კაცი ჩანს ყველგან. დარბაისლობა და ქართველობა თითქოს იდენტურ ცნებებად აღიქმებოდა საუკუნეების მანძილზე. ალბათ ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი თვისებათაგან ყველაზე უფრო „ქართული" ეს ნიშანი იყო. პოემის დასაწყისიდან დასასრულამდე აკაკი წერეთელი წინაპრების სწორედ ამ თვისებას განგვაცდევინებს ყველაზე მძაფრად. ასეთი იყო ქართველი კაცი დარბაზობაზე, ნადიმზე, სენაკში ბერად შემდგარი, მთავარსარდალი და ბრძოლის ველიდან დაბრუნებული. განსაკუთრებით ხელშესახებად ვლინდება ეს თვისება დამარცხებული მტრის მიმართ. დარბაისლობა მიტევებას გულისხმობს. თორნიკეც დიდსულოვნად მიუტევებს დაჭრილ მტრებს და მათ მოვლასა და ზრუნვას მოლაშქრეებს ავალებს. და ისევ სვებედნიერი ქვეყნის ხატი მეოთხე კარის დასაწყისში. ბევრის მეტყველია ეს სურათი: „გამობრძანდა ქალაქს გარეთ მეფე დავით ბედნიერი, თანვე ახლავს ყოველის მხრით წამოსული ქართლის ერი. რიცხვი არ აქვს დარაზმულსა, ქვეითსა და ცხენოსან ჯარს... შეჰხარიან ბატონ მეფეს, მორჩილებით უვლიან გარს. გარეშემო მთა და ბარი წვრილფეხობით მოფენილა, თითქოს რაღაც დიდ წყალობას ექადოდეს მათ ეს დილა. ცალკე სერზე უთვალავი გამომდგარი დედა-წული, სხვებზე მეტად დასტყობიათ საზოგადო სიხარული". და ასე შემდგომ...

ეს იყო წარსულის კარგი დღეები, რამდენიმე საუკუნის ძლევამოსილება. ეს იყო წონასწორობაშეურყეველი ქართველი ერის სულიერი და ფიზიკური მდგომარეობა, ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული ხედი, ზნე-ჩვეულება. „ჩვენი ლხინი რომ ენახათ სირცხვილითაც დაიწვოდნენ"—შენიშნავს აკაკი წერეთელი პოემის პირველ კარში. შემთხვევითი როდია ასეთი პარალელები. არც მალავს პოეტი თავის მიზანდასახულობას: იგი საგანგებოდ ავლებს პარალელს წარსულსა და აწმყოს შორის, წინაპრებსა და შთამომავლობას შორის. არა იმისათვის, რომ გააიდეალოს წარსული (ამაზე ითქვა ზემოთ), არამედ იმისათვის, რომ დაინახოს — რა შინაგანი ჰარმონიის მფლობელი, როგორი ზნესრული, კეთილშობილი, რაინდი იყო ქართველი კაცი. ფესვები დავიწყებული ჰქონდა თითქმის ავბედითი საუკუნეების მიზეზით, მონღოლთა მიერ ჩამობნელებული ცის ქვეშ დაკარგვოდა სახელმწიფოებრივი ერთიანობა, ნიადაგგამოცლილი ჰარმონიულობა ვეღარ ინარჩუნებდა მადლსა და ღირსებას.

აკაკი წერეთელს, ისევე როგორც სხვა ქართველ მწერლებს, ამის ჩვენება აინტერესებს. სწორედ იმას უსვამს ხაზს, რომ ყველაფერი ეს რეალურად არსებობდა. სწორედ იდეალიზებულისა და რომანტიზებულის წინააღმდეგ ილაშქრებს პოეტი, დაჟინებით ესწრაფვის ამ რეალურად არსებულის ჩვენებას, რა ბუნებრივი, რა შესაძლო, რა უთუო იყო ყოველივე ამის არსებობა, რაც „თორნიკე ერისთავშია" დახატული! ასეთი იყო იმდროინდელი ბალანსი. ის ქართველი კაცი იყო აკაკი წერეთლისათვის ნამდვილი ქართველი, იმ თვისებების აღდგენა იყო მიზანი, „წარსულის ნერგზედ ახალ ნამყნის შეხორცება" იყო საოცნებო საგანი. მეცხრამეტე საუკუნის ახალი, განმაცოცხლებელი იდეების გარემოცვაში უპირველეს პოეტებს თავისი ხალხის მომავლის ასაშენებლად ყველაზე საიმედო გზად მიაჩნდათ ეს გზა. იგი პასუხობდა დიალექტიკის დიდ კანონსაც, იგი პასუხობდა წარსულის პატივისცემის გრძნობასაც, ასეთია ისტორიული თემატიკის ერთ-ერთი თავფურცლის, „თორნიკე ერისთავის" დანიშნულება.

# დიდი რეჟისორის ცხოვრება

### ნადია შალუტაშვილი

ომისშემდგომ წლებში ქართულმა თეატრმცოდნეობამ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. არა ერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა, მონოგრაფიული ან პრობლემური, ისტორიული ნაშრომი დაიბეჭდა ამ ბოლო ხანებში. სერიოზულად, მეცნიერულად მიმდინარეობს თეატრალური მემკვიდრეობის შესწავლა, ავტორების ჯგუფი რა ხანია მუშაობს კ. მარჯანიშვილის, ს. ახმეტელის და სხვა დიდი ქართველი თეატრალური მოღვაწეების შემოქმედების შესწავლაზე. ერთ-ერთი ასეთი მკვლევარია — პროფესორი ეთერ გუგუშვილი, რომელიც წლების განმავლობაში აგროვებდა, დაკვირვებით სწავლობდა კოტე მარჯანიშვილის შემოქმედებას.

ეთერ გუგუშვილმა არაერთი გამოკვლევა და წერილი დაბეჭდა სანამ შექმნიდა კაპიტალურ ნაშრომს დიდი ხელოვანის შესახებ. ამ ნაშრომმა, რომელიც რამდენიმე წლის წინათ დაიბეჭდა ქართულად, მარჯანიშვილის სახელობის პრემია დაიმსახურა. წიგნმა ინტერესი გამოიწვია არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც და ეს სავსებით გასაგებია— კოტე მარჯანიშვილი წლების მანძილზე მოღვაწეობდა რუსეთში, უკრაინაში, ლატვიაში.

ბუნებრივია, რომ „ისკუსტვომ", სერიით „ცხოვრება ხელოვნებაში" რუსულად გამოსცა ე. გუგუშვილის წიგნი „კოტე მარჯანიშვილი".

თავისი ნაშრომი მეცნიერმა სამართლიანად უძღვნა ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო მოღვაწეს, ბრწყინვალე კრიტიკოსს ბესარიონ ჟღენტს, რომლის შემოქმედებითი ცხოვრების, ახალგაზრდული ძიებების მრავალი მომენტი დაკავშირებული იყო კოტე მარჯანიშვილის თეატრალურ ცხოვრებასთან.

ე. გუგუშვილის მონოგრაფიის არქიტექტონიკა ისეა აწყობილი, რომ მკითხველს ერთდროულად აცნობს დიდი ქართველი რეჟისორის ცხოვრებასა და შემოქმედებას, გვიჩვენებს როგორ პირობებში, რა რთული და მძიმე ძიებების გზით ვითარდებოდა დიდი ადამიანის ნიჭი.

ნაშრომის ღირსებაა, რომ მასში კ. მარჯანიშვილის შემოქმედება მოცემულია ეპოქის მაჯისცემასთან მჭიდრო კავშირში, ე. გუგუშვილი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „მარჯანიშვილი წარმოშვა ეპოქამ" და რომ მან „ხანგრძლივი დროისათვის განსაზღვრა ქართული საბჭოთა თეატრის განვითარება".

იწყებს რა თხრობას მარჯანიშვილის შესახებ, ე. გუგუშვილი დიდ ადგილს უთმობს იმ გარემოს, რომელშიც ყალიბდებოდა მომავალი რეჟისორის ნიჭი, აღწერს ეპოქის თეატრალური ცხოვრების სურათებს, რათა დაგვანახოს, რამ განაპირობა მარჯანიშვილის თეატრთან კავშირი, რა გავლენა მოახდინა რეჟისორზე ძველმა თეატრმა, მდიდარმა ქართულმა თეატრალურმა კულტურამ. წიგნში გარკვეული ადგილი უკავია დიდი რეჟისორის პირველი სცენური ნაბიჯების აღწერას, მის პირველ აქტიორულ ნამუშევრებს და, თუმცა მასალა ამ მხრივ ავტორს მცირედი მოეპოვებოდა, მან შეძლო ეჩვენებინა, თუ როგორ ყალიბდებოდა ახალგაზრდა ხელოვანის სცენური ოსტატობა, მისი შემოქმედებითი კრედო, ლ. მესხიშვილის, ვ. აბაშიძისა და სხვა დიდ შემოქმედთა გვერდით.

წიგნის ავტორი წინათქმაშივე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „მარჯანიშვილმა, რომლის მოღვაწეობა ფართო ინტერნაციონალიზმით ხასიათდება, შეძლო, ყველაზე მეტად, ვიდრე XX საუკუნის სხვა რომელიმე დიდმა რეჟისორმა, თავის შემოქმედებით პრაქტიკაში აესახა სხვადასხვა ეროვნული კულტურის ურთიერთზეგავლენისა და კავშირის ღრმა დიალექტიკური პროცესი".

სწორედ ამიტომაა, რომ ე. გუგუშვილი სერიოზულ ყურადღებას უთმობს მარჯანიშვილის მოღვაწეობას რუსეთსა და უკრაინაში, ფართოდ იხილავს მისი ბიოგრაფიის ამ პერიოდს. ავტორის დაკვირვებული თვალი ამჩნევს მიზეზს, თუ რატომ იყო გატაცებული კ. მარჯანიშვილი ა. ჩეხოვისა და მ. გორკის შემოქმედებით, რას ეძებდა და რას ჰპოვებდა მათ ნაწარმოებებში.

ავტორი სამართლიანად აღნიშნავს მარჯანიშვილის მსოფლიო კლასიკისადმი, ჩეხოვისა და გორკისადმი დამოკიდებულების პრინციპულ ხასიათს, იმას რომ რეჟისორს იტაცებდა „ადამიანის სულის ხვეულებში" წვდომის პროცესი.

მონოგრაფიაში უაღრესად საინტერესოდ, დამაჯერებლადაა მოცემული მარჯანიშვილის მსოფლმხედველობის, მისი ესთეტიკური პრინციპების ფორმირების რთული პროცესი, თუ რა დიდი სიძნელით იკვლევდა იგი გზას ხელოვნებაში რეაქციის წლებში, როცა იგი წლების მანძილზე (1906-1909) მოღვაწეობდა ხარკოვის, კიევისა და ოდესის თეატრებში.

ე. გუგუშვილი კარგად იცნობს რუსულ თეატრს, ამიტომ საინტერესოა და ყურადსაღები ყველა იმ დადგმების ანალიზი, რომლებიც მარჯანიშვილმა ამ წლებში რუსული დრამატურგიის მასალაზე განახორციელა. ავტორი ფაქიზად, დიდი ტაქტით იხილავს მარჯანიშვილის „სამხატვრო თეატრთან" ურთიერთობის საკითხებს, აანალიზებს იმას, თუ რით მოხიბლა ამ თეატრმა ქართველი რეჟისორი. წიგნში ნაჩვენებია, როგორ მუშაობდა მარჯანიშვილი სამხატვრო თეატრში, რა ამოცანებს ისახავდა და რა გზით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკუთარი გზა უნდა მოენახა ხელოვნებაში, რათა გათავისუფლებულიყო იმ შეზღუდულობისაგან, რომელიც მას ამ თეატრში ბოჭავდა.

მარჯანიშვილი დიდი ხელოვანი იყო და სხვის მიერ გაკვალული ბილიკებით კი არ მიდიოდა, თავის გზას ხელოვნებაში თვითონ კაფავდა. და აი, მან შექმნა „თავისუფალი თეატრი", კოლექტივი, რომელშიც რეჟისორს სურდა განეხორციელებინა თავისი ოცნება სინთეტური თეატრის შესახებ. მარჯანიშვილის „თავისუფალი თეატრი" იმ დროს არაჩვეულებრივ მოვლენად იქცა, რადგანაც ამ თეატრში რეჟისორი ეძებდა გზებს „უნივერსალური მოთხრობისაკენ".

ე. გუგუშვილს ფართოდ აქვს განხილული კ. მარჯანიშვილის ამ წლების შეხედულებანი, მის მიერ თეატრის ორგანიზაციის მთელი სისტემის რეფორმირების ცდები, „სარეჟისორო სტუდიის" ორგანიზაციის საკითხები. წიგნში დაწვრილებითაა განხილული ხუთივე სპექტაკლი, რომელთა დადგმაც მოასწრო მარჯანიშვილმა „თავისუფალ თეატრში", განხილულია აგრეთვე ის მიზეზებიც, რატომ აღმოჩნდა დღემოკლე რეჟისორის შესანიშნავი წამოწყება.

ე. გუგუშვილი განსაკუთრებულ ადგილს უთმობს 1919 წ. მაისში „ლეგენდარული სპექტაკლის" ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროს" დადგმას კიევში. წიგნში არა მარტო მოტანილია ახალი მასალები ამ დადგმის შესახებ, არამედ ჭეშმარიტი, მაღალპროფესიული ანალიზის მეშვეობით აღდგენილია წარმოდგენის მთელი სცენები, ხაზგასმულია ის დიდი შინაგანი კავშირი, რომელიც წარმოიშვა სცენასა და მაყურებელს შორის და შვა ჭეშმარიტად რევოლუციური სანახაობა.

თავში „ეპოქის მხარდამხარ" განხილულია კ. მარჯანიშვილის მოღვაწეობა „ცენტროთეატრში", ოპერეტაში მასობრივი წარმოდგენების დადგმა, ყოველივე, რაშიც ვლინდებოდა რეჟისორის „თანამედროვე ცხოვრების ტემპის შეგრძნება".

ცნობილია, რომ კოტე მარჯანიშვილი ქართული საბჭოთა თეატრის ფუძემდებელია. ეთერ გუგუშვილი დამაჯერებლად, მრავალფეროვნად გვიხატავს ამ დაუოკებელი ენერგიის მქონე ადამიანის თავდადებულ მოღვაწეობას საქართველოში ჩამოსვლის პირველ წლებში; ცოცხლად გვიჩვენებს, რა დიდი შრომა გასწია მარჯანიშვილმა ახალი თეატრის შესაქმნელად; როგორ განხორციელდა ქართული „ცხვრის წყარო", როგორ ხდებოდა „პიესის ახლებური გააზრება, ახალგაზრდა მსახიობთა მომზადება, საკუთარი იდეით გატაცება". და, როგორც წიგნის სხვა თავებში, აქაც ავტორი მარჯანიშვილის თეატრალურ ძიებებს უკავშირებს ეპოქას, დროის მისწრაფებებს.

ე. გუგუშვილი შესანიშნავად გვიჩვენებს, თუ როგორ ზრდიდა კ. მარჯანიშვილი ქართველ საბჭოთა მსახიობთა იმ პლეადას, რომლებსაც ჩვენ დღეს სამართლიანად შეგვიძლია ვუწოდოთ ქართული საბჭოთა სცენის კორიფეები; თუ როგორ ზრდიდა და ამზადებდა იგი რეჟისორთა კადრებს, როგორ ეძებდა დაუღალავად, შეუნელებლად ყოველივე ახალს დრამატურგიაში, როგორ ქმნიდა თავის სახელგანთქმულ სპექტაკლ-დღესასწაულებს.

ე. გუგუშვილი საკმაო ადგილს უთმობს კ. მარჯანიშვილის მოღვაწეობას კინოში, მის უკანასკნელ მუშაობას მოსკოვის მცირე თეატრში და ოპერეტაში. წიგნის ავტორი ხსნის უკვე ისტორიად ქცეულ ამბებს, რომლებიც დაკავშირებული იყო კ. მარჯანიშვილის რუსთაველის თეატრიდან წასვლასთან, ქუთაისში ახალი თეატრის შექმნასთან და ბოლოს მის მიერ შექმნილი თეატრიდან კვლავ რუსულ სცენაზე გადასვლასთან.

წიგნის ავტორი არ არის გულგრილი მემატიანე, იგი საკუთარი თვალთახედვით ცდილობს განსაჯოს მომხდარი ამბები, გვიჩვენოს საკუთარი პოზიცია. და რაოდენ სადავოდაც არ უნდა მოგეჩვენოთ ზოგიერთი დებულება, არ შეიძლება პატივი არ სცეთ ავტორის აზრს, რომელიც წლების განმავლობაში მომწიფდა და ჩამოყალიბდა, რაც მის შინაგან რწმენას წარმოადგენს. ე. გუგუშვილის წიგნი „კოტე მარჯანიშვილი" კაპიტალური ნაშრომია, მასში მოცემულია არა მარტო თეატრმცოდნეობითი ანალიზის ღრმა უნარი, არამედ გარკვეული შემოქმედებითი პოზიციაც.

ე. გუგუშვილი საწყის მომენტად მარჯანიშვილის შემოქმედებაში სამართლიანად სთვლის „მხნე, დღესასწაულებრივი რეალისტური თეატრის ხელოვნებას", რომელშიც პირველ პლანზე უნდა იყოს „სცენური სიმართლის მატარებელი რეალისტი მსახიობი".

მონოგრაფია „კოტე მარჯანიშვილი" სერიოზული, ფუნდამენტური ნაშრომია, მასში ნათლად ჩანს არა მარტო ავტორის ერუდიცია, სერიოზული კვლევის ნიჭი, მისი თეატრმცოდნეობითი ალღო და გემოვნება, არამედ ისიც, თუ რაოდენ გაიზარდა, საერთოდ, ჩვენი მეცნიერება თეატრის შესახებ.

# წიგნი გურამ რჩეულიშვილზე

### რევაზ მიშველაძე

გურამ რჩეულიშვილის თვითმყოფად პროზას მისი ავტორის ტრაგიკულად შეწყვეტილი სიცოცხლე ნაღვლიან ელფერს სძენს. „ალავერდობის" ავტორის შემოქმედებას ყურადღების მიპყრობისთვის როდი სჭირდება გვერდით ჭოუტად ედგეს ოცდაქვსი წლის ტრაგიკულად დაღუპული ბიჭის რომანტიკული ბიოგრაფია. სულერთია, ხვალ და ზეგ ჩვენი ხსოვნის ფურცლები გაიცრიცება და გურამ რჩეულიშვილის ეული წიგნი მარტო ივლის იმ გზაზე, რაც განგებამ დაუწესა. მაგრამ არც ერთი ადრე წასული ნიჭიერი მწერლის (მათ შორის ლადო ასათიანი) პირად ცხოვრებაზე არ ულაპარაკნიათ უკანასკნელ წლებში იმდენი, რამდენიც „უსახელო უფლისციხელის" ავტორის ცხოვრებაზე დაიწერა. ამის მიზეზი ერთის მხრივ ახალგაზრდა მწერლის შესანიშნავი დებიუტიც გახლავთ და გურამის გულისხმიერი და ყურადღებიანი პირადი მეგობრების რუდუნებაც. გურამ რჩეულიშვილის ხასიათის გამორჩეულ თვისებებზე დაწერილი რამდენიმე კარგი წერილის წყალობითაცაა, რომ დღეს მკითხველი ახალგაზრდობა დიდ ინტერესს იჩენს ჩვენი ხსოვნის ჰორიზონტზე ამ მეტეორივით ჩაქროლილი სიცოცხლისადმი.

სასიამოვნოა, რომ ახლახან გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებაზე სწორედ ახალგაზრდულმა გამომცემლობამ „ნაკადულმა" სერიით „ჩვენი სახელოვანი თანამემამულენი" გამოსცა წიგნი, რომელსაც ჰქვია „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ". ხოლო წიგნის ავტორია გურამ რჩეულიშვილის მეგობარი, პოეტი და ლიტერატურისმცოდნე ნუგზარ წერეთელი.

ეს გახლავთ მოგონებების წიგნი. იგი სინთეზური ჟანრისაა იმდენად, რამდენადაც ავტორს არა აქვს პრეტენზია ამომწურავად განიხილოს გურამ რჩეულიშვილის შემოქმედება, ან სკრუპულოზურად წარმოადგინოს მწერლის ბიოგრაფია. ნუგზარ წერეთელი „ალავერდობის" ავტორის პორტრეტს ხატავს, ხატავს საინტერესოდ და შთამბეჭდავად. პირველი სტრიქონიდანვე ნდობით და სიმპათიით განეწყობით ამ წიგნის ავტორისადმი, რადგანაც ერთი მხრივ იგრძნობთ მეგობრის მიერ სტრიქონებში ჩაწვეთებულ ცრემლს და სურვილს — შთამომავლობას არ დაუკარგოს კარგი მწერლის პირადი ცხოვრების ფურცლები და, მეორე მხრივ, უსათუოდ დაინახავთ, რა კარგად იცის ნუგზარ წერეთელმა გურამ რჩეულიშვილის პროზა.

რომ მიმოვიხედე, ამგვარი ხასიათის წიგნი ჩვენს თანამედროვე მწერალზე არცკი დაწერილა (თუ არ ჩავთვლით რევაზ თვარაძის წიგნს გალაკტიონზე). ამ შემთხვევაში მწერალზე მის არქივთან ჩამუხლული, ლუპამომარჯვებული მეცნიერი კი არ წერს, არამედ მეგობარი მწერალი უტყუარად და კეთილსინდისიერად გვიყვება, როგორი იყო გურამი შინ და გარეთ, რა ძლიერი პიროვნება იყო, ხასიათის რა თვისებებს ავლენდა სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში, როგორი სიყვარული და სიძულვილი იცოდა. ამგვარი წიგნი მრავალმხრივაა სასარგებლო: ჯერ ერთი — მკითხველს მისაბაძად გაუხდის გურამ რჩეულიშვილის ხასიათის ზოგიერთ გამორჩეულ თვისებას; ესეც არ იყოს, მწერალს ახლებურად წავაკითხებს, ლიტერატურის ისტორიკოსს გაუადვილებს ამა თუ იმ ნაწარმოების შექმნის მიზეზსა და მიზანდასახულობის გარკვევას. რა მდიდარი იქნებოდა ჩვენი ლიტერატურა და ჩვენი ცოდნაც ბევრ ქართველ მწერალზე, რომ ნუგზარ წერეთლის მსგავსად სხვასაც აეღო კალამი და თავის დიდ თანამედროვეზე ამ ხასიათის წიგნი დაეწერა. ოცდაშვიდი წლის იყო ანდრეი ვოზნესენსკი, როცა მასზე დაწერილი წიგნი გამოიცა მოსკოვში, ჩვენში კი რატომაა აუცილებელი, რომ უსათუოდ გარდაცვლილი უნდა იყო, რათა შენზე წიგნი დაიწეროს?

გარდა იმისა, რომ ამ წიგნის ავტორი გურამ რჩეულიშვილის, როგორც რაინდული თვისებით დაჯილდოვებული ყმაწვილის, ეჭვმიუტანელ სახეს წარმოგვიდგენს, იგი მწერლის შემოქმედებით დაინტერესებულ მკითხველსაც არაერთ საინტერესო ცნობას აწვდის; თქვენ წაიკითხავთ ამ წიგნში ჩართულ გურამ რჩეულიშვილის დაუბეჭდავ მოთხრობას, რომელიც ავტორს თავის დროზე ნუგზარ წერეთლისთვის მიუძღვნია, ყურადღებას მიაქცევთ გალაკტიონისა და გურამ რჩეულიშვილის ურთიერთობას და „ნელი ტანგოს" ავტორის ლექსებსაც, ყალბი პანეგირიკის გარეშე, თავის ადგილას მოხმობილს ნუგზარ წერეთლის მიერ.

ამ წიგნიდან ახალგაზრდა მწერალიც ბევრს რასმე შეიძენს. თქვენ დარწმუნდებით, რაოდენ სათუთად და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა გურამი მწერლის საქმეს. როგორ იყო მასში, ასე ახალგაზრდა კაცში, უკვე ჩამოყალიბებული პროფესიონალი მწერლის თვისებები. რა კეთილსინდისიერად ეკიდებოდა სიტყვას, როგორ ცდილობდა, თვით სტკენოდა, თვით განეცადა, თვითმხილველი ყოფილიყო იმისა, რაზეც წერდა. ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა, სახიფათო ბილიკებზე გადიოდა, რათა მის მართალ მოთხრობებში ნამდვილი ცეცხლი დაენთო და არა სხვათაგან წამოღებული, წიგნებიდან გადმოხატული, დეკორაციული ცეცხლი, რომელიც არც ათბობს და არც წვავს. გარდა ამისა, თქვენ კიდევ ერთხელ გაიხსენებთ, რა მაღალი შეფასება მისცა ქართულმა მწერლობამ და საზოგადოებრივმა აზრმა გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებას. წიგნში შეხვდებით გიორგი შატბერაშვილის, ოტია პაჭკორიას, გურამ გეგეშიძის და სხვათა გამონათქვამებს.

ამ კარგი წიგნის მიმართ მცირეზე მცირე შენიშვნა მაინც გამაჩნია: ვფიქრობ, თავისი სახელოვანი მეგობრის გახსენებისას ნუგზარ წერეთელს ზოგჯერ ხელი წაცდება ხოლმე და ავტორის თითქმის ყველა ნოველას ქართული პროზის მწვერვალად აცხადებს. ცოტათი ტაქტსაცილებულად მეჩვენება წიგნში აგრეთვე გურამ რჩეულიშვილის წარმოდგენა მოკრივისა და დამრტყმელის როლში, ჩვენ ხანდახან ზურგს გვიწვავს ჩვენი მამლაყინწობის ასაკის ზოგიერთი დღე და გურამსაც ალბათ ახლა — ორმოცსგადაცილებულ კაცს სირცხვილეულად გაეღიმებოდა მის მიერ ჩატარებულ „ბოებზე". რა ასაზრდოებს ამგვარ ინერციას? დიდი ხნის წინათ ვაჟაფშაველაზე დაწერილი ერთი წიგნი წავიკითხე და ღამეები მესიზმრებოდა მოკრივის ხელთათმანებით რინგზე მდგარი „ბახტრიონის" ავტორი, რომელიც ხან აივნიდან ყრიდა ხალხს და ხან კი მცირე შელაპარაკებისთვის გაოცებულ მოსაუბრეს უბოდიშოდ ალიყურს აძლევდა. რას ჰმატებდა ვაჟას მისი ფიზიკური ძალის უტრირებულად წარმოდგენა?

მკითხველს ვურჩევ წაიკითხოს ნუგზარ წერეთლის „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ". იგი კარგად დაწერილი, გულწრფელი და შთამბეჭდავი წიგნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მწერალი დაბრუნდა მივლინებიდან

# ოთხი პატარა მოთხრობა

### რევაზ ინანიშვილი

## მაღალი რანგის მეთაური

იყო ჩემ სოფელში ერთი ოვე, ოქტომბერი. ასე მგონია, ახლა ალარც არის. მოსკდებოდა ღამღამობით ქარიანი ღვარცოფი. გაბმულ რუხრუხში, გრძლადგაკლაკნილ ელვის სინათლეზე, ილუნებოდა, შიგნით მოიწევდა კრამიტებიდან წამოსული თახთახა ბრჭყვიალა წყალი. ბაღ-ვენახებში, უკუნეთ სიბნელეში, თითქოს დარბოდნენ, რაღაც ფერხულს უვლიდნენ გადიდებული, გაფუყული ხეები — ელვა ანათებდა მხოლოდ მათ მოტორტმანე კენწეროებს. ყრუ ბათქაბუთქით ცვივოდა მოუკრეფავი ხილი მიწაზე. გამოდიოდნენ მაჩვები და ზღარბები სოროებიდან, თვალებმილულული უშვერდნენ დინგებს წვიმას. გარეთ ვერ ბედავდნენ გასვლას, დერეფნებიდან უყეფდნენ ძაღლები. დერეფნები აივსებოდა ხოლმე ავდრის, სოკოს, სველი თივის და დაჩეჩქვილი ფოთლების სუნით.

გათენდებოდა და დადგებოდა ქვეყნის გაჩენის უბედნიერესი დღე. სველ გორაკებზე შეფენილი იყო ნაგლეჯ-ნაგლეჯი თეთრი ნისლები. ჯერაც ისევ ღრუბლებით გამოვსებული ცა ადგილადგილ იყო გახსნილი. იმ გახსნილი ადგილებიდან გამოსჭვიოდა, — არც ვიცი, მინახავს თუ არა ნამდვილი ფირუზი, ჩემით ვამბობ, — ფირუზი, ფირუზი... ფირუზი და სიჭანსალე. ძეძვიანი ორღობეების ძირ-ძირ, ვენახებისკენ მიდიოდნენ ტალახით შეწუხებული, მაგრამ მაინც კმაყოფილებით გალიმებული ქალები და კაცები. მოჰქონდათ კალათებით და ვედროებით სველ-სველი, ტალახიანი გვიანა ატმები, ვაშლები, მსხლები. ახლა მოგვცა ის ატმები და მსხლები!

საშუადღეოდ მთლად გადაიწმინდებოდა ცა და ჩამოდგებოდა დიდი სინათლე და სითბო. სისუფთავისგან, სისპეტაკისგან ელვარებდა ყოველი ფოთოლი და ბალახის ღერი. მოფრინავდნენ გამჭვირვალე ჰაერში ლამაზი კვირიონები, დასტრიალებდნენ სოფელს და კუთავდნენ ნებიერად. უკაკუნებდნენ ქვებს ქალები და ბალღები, აფრთხობდნენ კვირიონებს, — ფუტკრებს რომ არ დარევოდნენ, — და სასიამოვნოდ შორს გადიოდა მათი კიჟინა და კისკასი.

კიდევ იყო იმ ოქტომბერში ერთი ულამაზესი რამ — ჩურჩხელების ასხმა. ესაც, უმთავრესად, ღამით ხდებოდა, ლამპის შუქზე. გარეთ ან ისე წვიმდა, წეღან რომ ვამბობდი, ან ტკბილად უუუუუნებდა, ანდა სულაც წყნარი ღამე იყო, ბნელი, ბნელი, ნიავი რომ არ შეატოკებს ფოთოლს. იჯდა ლამპის ირგვლივ რამდენიმე ქალი, ახალგაზრდები, ქალიშვილები — თმაგადაჭიმულები, შუბლგამოჩენილები, გრძელნაწნავებიანები — ეგროვათ წინ ნიგოზი, სათითაოდ აგებდნენ იმ ნიგოზს თითქმის უჩინარ ნემსებზე და თან საუბრობდნენ ტკბილად, ქალური ჩაჭუკჭუკებით.

სანამ ჯარში წამოვიდოდი, სანამ ჩემს სოფელს სამუდამოდ მოვწყდებოდი, მიყვარდა მე იქ ერთი გოგო მაყვალა. ახლა აღარც გოგოები არიან ისეთი კდემით მოარულნი, — ყველა თითქოს რაღაცა ძაფებს წყვეტს, ყველა კახპობას თამაშობს გულიგულში, — წამოიგდებდა ხოლმე მსხვილ ნაწნავს წინ, ჩაეჭიდებოდა ორივე ხელით ბოლოში, შლიდა, იწნავდა, ეფერებოდა ხელისგულებით, ამოგხედავდა და ისეთი კეთილი სიყვარულით შემოგაფოფინებდა მართლაცდა მაყვალივით შავ თვალებს, რაც უნდა ცუდი ჰყოფილიყავი, გაჰკარგდებოდი. კაბები ეცვათ მაშინდელ გოგოებს — თხელი, წვრილ-წვრილი უნაბებით და ყვავილებით მოჩითული. ყელზე იკიდებდნენ ერთი ხის — ჰანჭყატის ანუ კიდობანას მძივებს, და სულ საქმიანობდნენ, სიარულითაც საქმიანად დადიოდნენ, სადილს აკეთებდნენ. ლობიოს არჩევდნენ, უმცროს და-ძმას პატრონობდნენ, თივასა და ძნასაც კი აწვდიდნენ კაცებს. თუ იბანავებდნენ, ტანსაცმლიანები ჩადიოდნენ არხში, იქაც ყველას მორიდებულნი, ბუჩქნარში.

მე რომ მიყვარდა, იმ მაყვალას მამიდა ჰყავდა, ქალაქში გათხოვილი, ირმის ფურბერწი, სულ კბილებმოქათქათე. ჩამოვიდოდა შემოდგომაზე, სექტემბერში, და იყო კარგა ხანს, სანამ ჩურჩხელები დახმებოდა. მაყვალა და მამიდა ერთმანეთსა ჰგავდნენ, ოღონდ — როგორც ფური და ნუკრი, ტანმძიმე და მსუბუქი, წვრილი. ისინი რომ გზაზე გამოვიდოდნენ ერთად, შეღერებული ბიჭები ღობეების უკან იყუნჭებოდნენ და იქიდან უყურებდნენ მალულად. მე ამას არ ვკადრულობდი, სხვის დასანახავად მე ასეთ რამეს არ ვკადრულობდი, მაგრამ ღამღამობით უარესს ჩავდიოდი. ავბობლდებოდი ვენახის მხრიდან მაყვალაანთ ფანჯარასთან და ვტკბებოდი, როგორ დადიოდნენ, როგორ საქმიანობდნენ.

ვარ ერთხელ ეგრე აბობლებული ფანჯარასთან, სხედან ჭაღიანი ლამპის ირგვლივ: მაყვალას მამიდა, ეს მთავარი ფერია, წვრილწვრილი ფერიები, მაყვალა და მისი ამხანაგები, — მაყვალაც გამოირჩევა ყველასგან, კეთილი ნათელი ადგას, — ასხამენ ჩურჩხელებს და ლაპარაკობენ, მხიარულობენ. მაყვალას მამიდა კინტოების ანეკდოტებს ყვება: — დედიჯან, ბავშვის შიბაქი ეს არის, თუ შენთვის გინდა, სირაჯხანის თავქვეში ჩადი, იქ ფეჩნიკები სხედან და ისინი გაგიკეთებენო. გოგოები იცინიან, ერთმანეთს ეფარებიან სირცხვილით. მეც ვიცინი, იმ ფანჯრის რაფაზე ჩამობლაუჭებული, მაგრამ მე უხმოდ, მე ხმას როგორ ამოვიღებ! არიან ასე ტკბილად, ლამაზად, მაყვალას მამიდა ახალ ანეკდოტს იწყებს: — ერთი კინტოც იყო, ცალთვალა... — და უცებ თავს მაღლა ასწევს, გამოაჩენს სავსე სუფთა ყელს, იყურება ჩემკენ და თითქოს საგანგებოდ ჩემს გასაგონად ამბობს:

— ვინც ეხლა ჩუმად ჩვენ გვიგდებს ყურს, იმის ჯამში — გველი, ბაყაყი, ჯოჯო, გატყავებული ვირთხა!

ჩავხტი გულგახეთქილი, ეტყობა დიდი ბრაგვანით. წამოცვივდნენ ის გოგოები, მოხროვდნენ ფანჯარასთან, — ოხერო! უსინდისოვ! გათახსირებულო! — მიყვირიან. მე კიდევ იქვე ვარ ჩაყუნჭული, ვაზის ძირში. მლანძღეს, ჩამდეს კუზოში და დამაყარეს მიწა. ბოლოს მიუბრუნდნენ მაყვალას მამიდას, გალიმებულს, და ზვიადად მდგარს:

— დაინახე, მამიდა, რომ ამობობლებული იყოო?

გაიცინა მაყვალას მამიდამ, გააქათქათა კბილები:

— მაგას რა დანახვა უნდა, ამდენი კოხტა ძუკნა რომ ერთად მოიყრის თავს, მაგათ აღარ ღირხართ, ერთმა ხვადმა ყველაფერზე გადადოს თავიო?!

ხომ მიყვარდა ის მამიდა, ძალიან კარგი გულის ქალიც იყო, იმ დღიდან კიდევ უფრო შემიყვარდა. მაყვალა კიდევ — ხომ არ დავუნახივარ, მაგრამ მეორე დღეს რომ შემხვდა, ამომიფოფინა ის მაყვალივით თვალები და აშკარად დავინახე, რომ საყვედურის ცრემლები შეიკავა ძლივსძლივობით, შემომიბრუნა ზურგი და წავიდა გაჩქარებული.

წავიდა და წავიდა.

მეც ცოტა ხანში ჯარში წამომიყვანეს, სამხედრო სასწავლებელში მიმაბარეს, მეთაური გავხდი, ბოლოს — მაღალი რანგის მეთაურიც. სად არ მატარა ბედმა, რა ქვეყნები არ ვნახე, რა ხალხი, რა დღეები, რა ღამეები, რა ოქტომბრები, მაგრამ ჩემი სოფლის ოქტომბრის დღეებს და ღამეებს, ჩვენი გოგოების სიკეთის შუქს სხვაგან ვერაფერი მოვუნახე შესადარი. მე იმ ოქტომბრის სილამაზით და იმ გოგოების სიკეთის შუქით ვარ ავად. მე, მათი დამკარგავი, ვკვდები.

## ვაშლის ბაღი

უკვე შემკვრივებული ბინდი დასწოლია ვაშლის ბაღს. დღისით ამ ბაღში, ტოტებდაღუნული ხეების ქვეშ, ცელით სუფთად მოსწორებულ, მოთანაბრებულ მწვანეზე, სექტემბრის მზის ყვითელი ათინათები იყო დაფენილი, — ყვითელი ათინათები, ნაადრევად დაწითლებული ჭიანი ვაშლები და ნაადრევადვე ჩამოცვივნული მზით შეხრუკული ფოთლები. მაინც იგრძნობოდა, რომ იმ ყვითელი ათინათებისა და ხმელი ფოთლების ქვეშ მიწა ნოტიო იყო და სასიამოვნოდ გრილი, დახტოდნენ ტოტიდან ტოტზე წივწივები: ახლა, წყნარ სიბნელეში (წყნარად კრუტუნებენ კრუალები, — კრრუ! კრრუ! კრუუ!) ბაღის თავიდან ელნათურის ჩახჩახა შუქი შემოდის და ვაშლების ფოთლები და მათ ქვეშ სწორადგაშლილი მწვანიანი კიდევ უფრო ხასხასად გამოიყურება, ვიდრე დღისით, ერთი ეგ არის, ამ შუქში ახალჩართულია და ჩაბურდული იდუმალი იერის ჩრდილებიც, თითქოს ცოტაც და ეს ჩრდილები სამტროდ დაერევიან ერთმანეთს.

იქვე, ბაღის თავში, ორსართულიანი სახლის ქვედა, უმოაჯირო დერეფანში, ფარდაგგადაფარებულ ტახტზე, წინწამოხრილი ზის ჯერაც ისევ თვალადი, პირბადრი ქალი და, ნეტარების სხივებით განათებული, არწევს ძველებურ, მოხარატებულ აკვანს. გადიან და გამოდიან, რიტმულად ჩხაკუნობენ კაკილები. ტახტის გვერდით მდგარ მაგიდაზე ორლულიანი თოფი დაუშლია საფეთქლებშეჭაღარავებულ ჯანიან კაცს, ლულებს ზუმბით წმენდს და დროგამოშვებით გახედავს ხოლმე იმ ლულებს სინათლეში. ქალი წამღერებით ამბობს:

— წადით, წადით, ყველანი წადით ახლა! ჩემმა ოქრობიჭმა უნდა დაიძინოს, ჩემმა ოქროთი სავსე კიდობანმა უნდა დაიძინოს, ჩემმა ბრილიანტებით სავსე კიდობანმა უნდა დაიძინოს, ჩემმა გულის გულმა, ჩემმა სულის სულმა, ჩემმა სიხარულის სიხარულმა უნდა დაიძინოს. დავენაცვლე და დავეფერფლე მე ამას, წამლად დავენაყე და მალამოდ დავედე მე ამას, ჩემს მზის სიხარულს ბიჭს, ჩემს მარგალიტის კიჭებიან ბიჭს, ჩემს ბროლის კიჭებიან ბიჭს. წადით, წადით ახლა ყველანი, ჩემმა ბაკუნამ უნდა დაიძინოს, ჩემმა ბაკაკუნამ უნდა დაიძინოს. წადი შენ, მელიავ, კუდიგრძელიავ, შენც წადი, ტურავ, ტურიკელავ, ყურებდაცქვეტილო, მსუნაგო, ჩემმა ბაკაკუნამ უნდა დაიძინოს, თქვენთვის აღარ სცალია. შენც წადი, აუავ, ჩემს ბაკუნას პური აღარ უჭირავს, კაკანაში წევს, უნდა დაიძინოს. შენც წადი, ფისოვ, მაიმუნო ფისოვ, ყველიპარიავ, ცხვირი რომ დაგიდაღა ბებომ, ახლოს მოსვლა არ გაბედო, დათვო, დათუნიავ, ბაჯბაჯავ, არც შენა — მგელო, პირდაღებულო, საძაგელო, ახლოსაც არ მოხვიდეთ ჩემს ბაკუნასთან, თორემ ბაკუნას პაპას დიდი თოფი აქვს, ახლა თქვენთვის სწმენდს, აპრიალებს, დიდ ტყვიებს ჩადებს ლულებში და, თუ ახლოს მოხვედით, გესვრით და გადაგაკოტრიალებთ ყირაზე, დათვო, დათუნიავ და მგელო, საძაგელო. უკვე ღამეა და ყველანი თქვენ-თქვენს სახლებში წადით, თქვენ-თქვენს ბუნაგებში წადით. ჩემმა ბაკაკუნამ უნდა დაიძინოს და თქვენც დაიძინეთ. ნანა, ნანა, მელიავ და ტურავ, ნანა, ნანა, აუავ და ფისოვ. წადით ყველანი თქვენ-თქვენს შვილებთან და ნანა ქენით, მიუწექით თქვენ-თქვენს შვილებს და ნანა ქენით. ბაკაკუნამ უკვე დაიძინა, ამას ვენაცვალე მე, ამ ჭკვიანს, ამ გონიერს, ამ სიხარულას, ჩემი ყველაზე ლამაზი დღის გათენებას. შენი მარგალიტის კიჭების ჭირიმე, შენი! ახლა დაიძინე, დამალე ეგ კიჭები და დილით ისევ გამოაბრწყინე, სიხარულო. დაიძინე მშვიდად, დაიძინე თბილად, დაიძინე ტკბილად. თქვენ წადით, მელიავ და ტურავ, აუავ, ფისოვ და დათუნიავ, თქვენ წადით და ნანინა მოვიდეს თავისი მამიდებით. თქვენც მოდით, თქვენც გეპატიჟებათ ჩემი ბაკუნა, ძილის ტკბილო სტუმრებო, ჭრელო, ჭრელო სიზმრებო, ჭრელო ხეკაკუნავ და ბოლომაკრატელა მერცხალო, ჩიტო, ჩიტბატონავ, ლამაზო მოლაღურო, ოქროსფერო ბიჭო-გოგიავ, ტკბილად მგალობელო ბულბულო, ტკბილად უგალობეთ და ტკბილად ურუკრუკეთ ჩემს ბაკაკუნასა, დაუსხედით აქეთ-იქიდან და უგალობეთ და ურუკრუკეთ ტკბილად. ის გაჩვენებს თავის ბროლ-ალმასის კიჭებსა, სიხარულის კიჭებსა. თქვენ აჩვენეთ თქვენი ლამაზი ფრთები. თქვენ კი წადით, წადით აქედან თქვენს შვილებთან, მგელო და დათუნიავ, ტურავ და მელაკუდავ, აუავ და ფისოვ! შენც გაჩუმდი მანდ, ჭოტო, ჭოტუნიავ, თორემ პაპას შენთვისაც აქვს ტყვია. შენც გაჩუმდი, ჭოტო!

— კარგი, ქალო! — წამოიძახებს გალიმებული კაცი, — მე დამეძინოს ლამის არის!

— შენც დაიძინე, პაპავ, — წამღერებითვე განაგრძობს ქალი, — დაიძინე, რომ დილით ადრე ადგე. ხვალაც რომ არ დამიფქვა ის სიმინდი, არ ვიცი თუ რას ვიზამ. ნაყიდი ფქვილის ფაფა როდემდე ვაჭამო ჩემს ბაკუნას, ვინ იცის, სად ეყარათ ის სიმინდი. წადი, პაპავ, და ჩვენი სიმინდი დაფქვი. მერე ქალაქშიც წადი და ბაკაკუნას დედა და მამა მოუყვანე.

— მოვუყვანო, თორემ... — კაცი ახლა აწყობილ თოფს მიუმიზნებს ნათურას — ერთს საათს ვერა სძლებენ უშვილოდ.

— გაჩუმდი, გაჩუმდი, პაპავ!

— რა გავჩუმდე!

— გაჩუმდი, გაჩუმდი.

კაცი თოფს ძირს დაუშვებს, კედელზე მიაყუდებს, მხრებს შეათამაშებს და ღონიერ თითებს გაავარჯიშებს.

მთვარეს რაღაცისა მოეუხერხულება და ღრუბლებში შეიმალება. ჭოტიც გაჩუმდება.

აქამდე სად იყო მთვარე?

ამასობაში ისიც ამოსულიყო მთიდან.

## ჩასაქოლი

რას დამდევს, რა უნდა ჩემგან ამ ჩვენებას მაინც?

— შეჭამესო, გაანადგურეს ჩიტებმა თალარიო, — გამოიტანა ორი ჭიგო შალამ, ერთი გრძელი, მეორე — მოკლე. გამოიტანა ჩაქუჩი და ლურსმანიც, მოკლე ჭიგო გრძელ ჭიგოზე დააკრა, გააკეთა ჯვარი. მიაყუდა ის ჯვარი კედელზე. გამოიტანა ამის შემდეგ მარნიდან პირწამტვრეული, უყურო ხელადა, ჩამოაგო ის ხელადა ჯვარზე, შავი, შავი, პრიალა; გამოიტანა ცარცი, დაახატა იმ შავ ხელადას დიდი, კეთილი თვალები, დიდი, ცოტა მოღუნული ცხვირი, დიდი, თითქმის ყურებამდე ატანილი გაცინებული პირი, სულ სავსე დიდ-დიდი თეთრი კბილებით; გამოიტანა მეცხვარული თეთრი ბოხოხი და ფარაჯა. ბოხოხი ხელადას დაახურა, ფარაჯა ჯვარს ჩააცვა, თოკიც შემოუჭირა, ასწია მაღლა, თალარზე მაღლა, და ბოძზე მიამაგრა, ძალიან გულით მიამაგრა, ერთი ოცჯერ მაინც შემოახვია თოკი, არსად გაჰქცეოდა.

ამოიარა თაკომ, მკერდსავსე, ხითხითა მეზობელმა გოგომ, თავის გაქნევით გადაიგდო თმა უკან, აიხედა თალარის მაღლა და ჩუმი ხითხითით იკითხა:

— რა ჰქვია?

— შალა. — ღიმილით მიუგო შალამ.

თაკომ ახლა შალას შეხედა.

— გგავს.

ეგონა ქიმუნჯს მიიღებდა პასუხად, გაიქცა, მაგრამ ორივე შალა ადგილზე იდგა და იცინოდა.

წავიდა თაკო, იმანაც დააკრა გრძელ ჯოხს მოკლე ჯოხი, იმანაც გამოიტანა გატეხილი ლიტრა, ჩამოაგო ჯვარზე, სულ წითელი, წითელი, ყირმიზა, ნახშირით დახატა გრძელი, გადამშვილდული წარბები, გრძელი, ძირს დახრილი წამწამები, ღიმილით ოდნავ აგრეხილი კოკობი ტუჩები, გამოიტანა ბებიას მოსახვევი, მოახვია, გაუბანტა ქვემოთ ლამაზად, გამოიტანა თეთრად დაწინწკლული ლურჯი წინჩახსნილი კაბა (ის, მგონი, დედის იყო), ჩააცვა ის კაბაც, შემოუჭირა სარტყელიც, ასწია იმანაც თალარს მაღლა, ასწია წვალებით, იმანაც ერთი ოცჯერ შემოახვია თოკი, ბოძზე მიამაგრა.

იდგა თაკოს გოგოც, ნიავი უფრიალებდა კაბის კალთებს, ცოტა ზომაზე მეტადაც, და ამის გამო წითლდებოდა, მორცხვად ხრიდა გრძელ წამწამებს.

თაკომაც თაკო დაარქვა გუნებაში თავის გოგოს.

მოფრინდნენ ბელურები, ნახეს — იქით თალარზე შალა დგას ხელებგაშლილი, ყურებამდე სიცილით პირგახსნილი, აქეთ თალარზე — დამორცხვებული თაკო, და ველარ მიბედეს ვერც შალაანთ და ველარც თაკოანთ თალარზე მისვლა. ეღიმებოდათ კმაყოფილ გამვლელ-გამომვლელებსაც, დიდხანს არ აცილებდნენ თვალს ამ შალასა და თაკოს. სულ უნდოდა ნიავისაგან აფრიალებული კალთების გასწორება თაკოს, ვერ ისწორებდა, ცდილობდა, ყველასათვის თვალი მოერიდებინა, არიდებდა კიდეც და ძირს ჰქონდა დახრილი გრძელი წამწამები. შალას არა — შალას უხაროდა კიდევაც... ფარაჯის კალთებს რომ უფრიალებდა ნიავი...

ბოლოს, როგორც იქნა, დაღამდა, ამოვიდა მთვარე, ჩაიარა, ვინც ჩასავლელი იყო, ამოიარა ამომვლელმაც, დაიძინა ყველამ, თვით ბებიებმაც კი, შალა და თაკო კი იდგნენ, ერთი ერთ ეზოში, მეორე მეორე ეზოში, ერთი — ბედნიერებით გაცინებული, მეორე — დამორცხვებული. გაჩუმდა ხმაჩასაწყვეტი ჭოტიც და მაშინ გაბედა შალამ.

— გოგო!

თაკომ ხმა არ გასცა.

— რა ლამაზი ხარ, გოგო!

თაკომ ხმა არ გასცა, უფრო დაიმორცხვა.

— გადმო რა, ცოტა ხნით ჩვენთანა.

თაკომ სულ არ გასცა ხმა.

— გადმო რა, გოგო.

თაკომ სულ ოდნავ გაატოკა თავი, თითქოს მარტო ნიავი იყო ბრალში.

— გადმო რა, გოგო!

თაკომ უფრო აშკარად გაატოკა თავი.

— შავი ვარ, მაგრამ, იცი, რა შახი ვარ, გოგო?!

თაკომ, სიცილი რომ არ წასკდომოდა, კიდევ უფრო გვერდზე შეაბრუნა თავი.

— ვაჰმე, ყარაულად არ ვიდგე, ამ ჩიტებს არ ვიგერიებდე!..

— აბა, სად არიან ჩიტები, ბიჭო!

სახლებში მყოფ შალას და თაკოსაც ვითომდა სძინავთ.

— ჩასაქოლო! ჩასაქოლო! — ძილში ამბობს თაკოს ბებო თაფლო.

## გოჭილების ექიმი

წლევანდელი ზაფხულის სიცხეები გახსოვს, ჩემი ავადმყოფობის ამბავიც გახსოვს, მიუხედავად ერთისა და მეორისა, აგვისტოს ნახევარში მაინც დავადექი ჩემ საყვარელ გზას — ივრის ხეობის მარჯვენა ნაპირს, კვირაცხოვლის გორიდან ზემოთ. დილის ათის ნახევარი იყო, მაგრამ ისე ცხელოდა, ლურჯ კლდეებს რომ ჩავდევდი, თითქოს ცეცხლზე მიყუდებულ ვეება კეცებს მივუყვებოდი ძირ-ძირ. დაბლა, კიდევ უფრო უარესი სიცხის მოლოდინით ჩაყურსულ ჭალაში, ვერხვებიც კი არ ატოკებდნენ ფოთლებს, არც ვერხვები, არც თრიმლები. ჩიტები და ჭრიჭინებიც არ იღებდნენ ხმას, ხვლიკებიც არ გადარბ-გადმორბოდნენ ბილიკზე. მაინც ჯიუტად მივაბიჯებდით ზემოთ და ზემოთ. გავიარე უკვე შეფერიანებული ნაყოფით ტოტებდამძიმებული ასკილები, ხუჭუჭა ცხრატყავები, სიცხისგან შეწუხებული, ფოთოლგაცვივნული კუნლიანები, გადავჭერ ხევიდან წამოსული თეთრად გადამხმარი ნაღვარალი და მივუახლოვდი ჭალის რცხილიან ტყეწვრილს. შორიდანვე შევნიშნე — მწვანე რცხილებში წითლად ღუღღუღებდნენ შემწიფებული ჩიტივაშლები. გავჩქარდი, გავხალისდი, მე მათთან მივდიოდი, ჩიტივაშლებთან. მივედი, ნაცნობ ადამიანებსავით მივესალმე, — განხეთ მშვიდობით! მშვიდობით იყვნენ. ისეთი ჯანსაღი, მგლის საფანტის სიმსხო ვაშლები ესხათ, ისეთ ლამაზ კუფხლებად და კუნწულებად გამოკიდებულიყვნენ რცხილებსა და შვინდანწლებს შორის, ბალახებში ჩავჯექი და იქიდან ვუყურებდი თვალებმოჭუტული, — რა მშვენივრები ხართ, რა საოცრები!

არის ხოლმე წლები, სულ არ ასხია ჩიტივაშლებს, ანდა დაინაცრება — გაწვრილდება, განაცრისფერდება ნაყოფი, ზედვე შეხმება და გაქრება. წელს გულგასახარად ესხა, თანაც, როგორც უკვე ვთქვი, ჯანსაღი, ღუდღუდა კუფხლები და კუნწულები, და ფერად იყო — ენით გამოუხატავი ფერისა. ისინი არც წითლები იყო, როგორრებადაც შორიდან ჩანდა, არც ალისფრები, არც მთის ნარინჯების ფერისა. შეურიე ეს მთის ნარინჯისა და კიდევ... მწიფე უნაბისფერი ერთმანეთს და, თუ არ ვცდები, უნდა გამოვიდეს ჩიტივაშლას მიახლოებითი ფერი. მაგრამ მთავარი ეს არ არის, მთავარი ის არის, რომ ყოველი მარცვალი, მსგავსი პაწაწინა მანდარინისა, უფრო ზუსტად — პაწაწინა თეფშა ვაშლისა, გაფაციცებულ სულდგმულად გამოიყურებოდა კუნწულებიდან. ქინძისთავებივით სწორი, წითლადგალაქული ეკლები და ქალის ფრჩხილებივით დაჭნილი მოლურჯო ფოთლები მკვირცხლ მცველებად შემოსდგომოდნენ აქეთ-იქიდან. — თქვენ გაგახარათ ღმერთმა! იქიდან ავდექი და სხვა ჩიტივაშლების სანახავად წავედი. ვნახე უფრო ბევრი და უფრო მშვენიერებიც, გამორჩევით — იმ ტყეწვრილში ჩამდგარი დიდი ვერხვების ჩრდილებში. წავედი კიდევ უფრო ზემოთ, გადავადექი მთებიდან გამოვაკებულ დამცხრალ, დაწმინდავებულ იორს, მის ლოდებიან შენაკადს — ლაფიან ხევს, დავლიე ცივი, გემრიელი წყალი, რომელიც გამოჩქეფს ჩვენი წყალსადენის მსხვილი, დაცვარული მილიდან, გავიგრილე ხელ-მკლავი და შუბლი, დავლოცე ის წყალიც, გამომყვანიც, გამოვბრუნდი, გავხსენი დანა და ფრთხილ-ფრთხილად, შერჩევით შევაჭერი ზოგი სწორი, ზოგიც უცნაურად დაკვრანჩხული კუფხალ-კუნწულებიანი ტოტები ჩიტივაშლებს. მე მათ წყლიან ქილებში ვაწყობ ხოლმე და დიდხანს სძლებენ ფერუცვლელად, თითქმის თვეზე მეტს. მეწვიე როდისმე აგვისტოს მეორე ნახევარში და შენი თვალით ნახავ იაპონურ ცნობილ თაიგულებზე არანაკლებ სილამაზეს.

ტყის ჩრდილებიდან გამოსულს, კიდევ უფრო დამცხა, ყურები დამიგუბდა. ერთი პირობა ვინანე კიდეც, — რა არის, რა ახირებაა, ან დილას წამოვსულიყავი, ძალიან ადრე, ანდა საღამოს, გვიან. მაგრამ სინანული აღარაფერს შველიდა. უნდა მევლო და მოვდიოდი — თავდაღუნული, მზეს შეჭიბრებული. ჩამოსულიყო სოფლის ნახირი ივრის პირას, ვარვარა ბოტოროში, უკვე დაელიათ წყალი და ახლა ყველა ძროხა გარინდებული იდგა, ყველა ერთნაირი უნიათობით იქნევდა კუდს. გარინდებული იდგა მათ შორის ორი მუქი წნორიც, იმ წნორების ზემოთ — ტყიანი წოწოლა მთა, იმ მთის ზემოთ — თეთრი მკვრივი ღრუბელი.

— სად იყავ, კაცო! — დამიძახა წნორქვეშ წაწოლილმა მენახირემ. სასაცილოდ არ ეყოფოდა, რომ მეთქვა, ჩიტივაშლების სანახავად-მეთქი.

— არსად, აექ! — მივუგე ეს ორი სიტყვა და უფრო გამოვჩქარდი, ახლა ტოტებზე არ ჩამძიებოდა.

გაჭიქებულმა ამოვჭერი ლურჯი კლდეები, ამოვედი მაღლა, ძლივსლა ვითქვამდი სულს, მაგრამ არ შემისვენია, სვლა სჯობდა, და შეუჩერებლივ ჩავეშვი დაბალში, ვენახების ბოლოს.

იქ, ვენახების ბოლოს, ივრის თხელ ტოტში ორი „ჟიგული“ იდგა. ირგვლივ ქალები, კაცები და ბავშვები ეხვივნენ. კაცები მანქანებს რეცხავდნენ. ქალებიც ეხმარებოდნენ. ბავშვები და უმაწვილი გოგოები კისკისითა და შეძახილებით დატოპავდნენ წყალში. რომ მივუახლოვდი, გოგოებმა თვალი დაადგეს ჩემი ტოტების თაიგულს. ჯერ ერთი გამოვიდა წყლიდან და აღტაცებით გაშალა ხელები.

— დედაა!

მერე ორნიც მოვიდნენ ჩქარი ნაბიჯით.

— რა არის, რა ჰქვია მაგ მცენარეს?

— ჩიტივაშლა.

— სად მოკრიფეთ?

— ზემოთ, აი, იმ კლდეების იქით.

— მანქანა მიუდგება?

— არა, მანქანა ვერ მიუდგება.

— Какая прелесть! არ გაყიდით?

— რატომაც არა.

— როგორ?

— თითო ტოტი — თითო კოცნა.

— ასე იაფად?

— უფრო იაფადაც, თუნდაც სიმბოლურ კოცნად.

— რატომ სიმბოლურ?

სამივე ჩქროლი ღიმილით მიწვდიდა ხელს, სამივეს მივეცი თითო ლამაზი ტოტი.

— მე მზად ვარ.

— მეც.

— თქვენ უნდა გვაკოცოთ თუ ჩვენ?

— რა თქმა უნდა, მე. — ხელი ტუჩებთან მივიტანე და სამჯერ ვაკოცე იმ ხელს, მერე მაღლა ავწიე.

— რა კეთილი ხართ! ვინა ხართ?

— გოჭილების ექიმი.

ვერ მიხვდნენ, რა იყო ეს „გოჭილების ექიმი“, მაგრამ მაინც თქვეს:

— დედა, რა კარგია! ასეთი იყავით რა მუდამ.

— ვეცდები.

ცოტაზე გამოვცდი და ერთხელაც მივხედე. გოგონებს ამაყი სიკეკლუცით მიჰქონდათ ჩიტივაშლას ტოტები. უყურებდნენ კაცები და ქალები და ეღიმებოდათ.

შინ რომ მივედი, დილანდელი დამდურება გადაავიწყდათ დედას და მეუღლეს. იმათაც სიხარულის ღიმილით ჩამომართვეს ჩემი თაიგული. ისინიც აღტაცებით შეჰყურებდნენ, — რა მშვენიერებაა, რა სიცოცხლე! მაშინვე ჩააყენეს წყალი და ჩააწყვეს... ჯერჯერობით ლარნაკები არა გვაქვს და — მინის ქილებში. სწორედ ამ კონსერვის ოდნავ მომწვანო ქილაში მდგარი ჩიტივაშლაა იაპონურ თაიგულზე ლამაზი.

მერე წამოვწექი. მიუხედავად სიცხისა, მიუხედავად დაღლილობისა, კარგა ხანია, ასეთი ბედნიერი სიმშვიდით არ უმუშავია ჩემს გულს.

### ლადო სულაბერიძე

## ერთგულება

წიგნიდან „შემოდგომა“

1.

ოღონდ მიბრძანე, იოგების
ლურსმნებიან ტახტზე გავწვები.
ანი გამძლები ვარ დრო-ჟამის,
დამშეულ და ურაგან წლების.
ოღონდ მიბრძანე, ერთგულების
სამსხვერპლოზე ვიქმ სასწაულსა.
მივგერი წყაროსთვალს, წყაროს თვალი
შენი ჭის ფსკერს თუკი დაუშრა.
ოღონდ მიბრძანე, ის მიბრძანე,
არცერთ მიჯნურს რაც არ ეღირსა.
მე ან რისხვა ვარ სიყვარულის
მტრებისა და ყაჩაღებისა.

2.

ო, რა გულები ორგულების
მკერდში ცვდება, ცვდება ამაოდ.
კაცს ერთი გული ერთგულების
მწარე ტანჯვამ შეუჭამაო.
რად გწადს ერთ გულში ორგულობის
ცივი ცეცხლის კვამლი დატიო?!
დადექ, ორგულო, შენი ციხე
და ქვა-ყორე შემოვამტვრიო.
ვერ მოადგები შენი ლაშქრით
სიყვარულის ჩემის სამეფოს.
ყალბი ცრემლებით ნუ, ნუღარ სტირ,
მოჩვენებით ნუ მოწამებრობ.

3.

ერთგულების და სიყვარულის
ქალღმერთებო, მაღლა ამზიდეთ
ამ მზის სისხლში ვარ განბანილი
და თქვენს ფრთებზე ვინვი ამ მზითვე.
აქ გაგიმზადე ზვარ-ბაღნარი,
ერთგულების ზართა სამზითვე.
ყველა საზიდველს ვეზიდები,
საშენსოფლო ყველა საზიდველს.
დამცხრალი ქაფი მომდებია
სიჭაბუკის ზღვაში ნაზვირთევს.
ერთგულების და სიყვარულის
ქალღმერთებო, მაღლა ამზიდეთ.

4.

იქუხე, ქარო, ქარიშხალო,
ურაგანო დროთა დინების, —
ველარ გამიდრეკთ ერთგულების
ძეგლს, ამაოდ შეერკინებით.
მე იგი დავდგი სიყვარულის
დიდ საყდართან ლაჟვარდოვანთან.
ფრთები შევასხი ფერადოვან
სამეფოში მფრინავ ფრთოვანთა.
ზარიან დილებს მივენდევი,
მათ ლურჯ კალთებს ზედ
ვეთრთვილები.
ერთგულების ძეგლს განდობ, ქარო,
უდროჟამო დროთა დინების.

5.

შენს სახელმწიფოს ერთგულების
გალავანი შემოვაკარი.
მარტოდენ ჩემი — კარიბჭეში —
სიყვარულის შემოვა ქარი.
ლიბო ვარ მისი, დუღაბი ვარ,
ჩასრესილი ვარ ლოდებს შორის.
ღალატის მეხი ვერ შეანგრევს,
შეადნება ყინული ჭორის.
ხელმწიფევ ჩემო, იხელმწიფე
სიყვარულის სრა-სასახლეში.
ორგულობის ფარს ტახტრევანთან
მე დაგიგდებ შუა გახლეჩილს.

6.

შენ, ნიღბოსანო, ღიმილ-ღიმილ
ერთგულების ტაძარს გარს უვლი.
არა გაქვს გული ძმათმოყვრობის,
ძმათგათიშვის შენ გაქვს სხვა გული.
ჩემს სამეფოშიც შეინიღბე
ერთგულკაცის შარავანდედით.
მე ულალატო სიყვარულის
დიდ ტაძარში სანთელს ვანთებდი.
სულს უზერავდი ჩასაქრობად, —
ჩემი ქარი აჩახჩახებდა.
მიწა ჩაგულაპავს... ჩემი სული
ვარსკვლავების ელავს ჭაღებთან.

7.

ვაგე ტაძარი სიყვარულის
უზენაეს სამფლობელოში.
მზე ზარ-ზეიმით შენს კარავში
ჩემეულ შუქს მარად შემოშლის.
მე ერთგულების ლურსმნებით ვარ
მიჭედილი შენს ჯვარ-ტახტზედა.
აღზევდა სული, სიყვარულის
სამეფოში სული აღზევდა.
რეკეთ, ზარებო, განწმენდილნო
ამ ემბაზში, რეკეთ ზარებო!
მრავალჟამიერ, სიყვარულის
ერთგულების სულთა სამეფოს!

### ჯემალ ჩახავა

## დავუშვათ წუთით

დავუშვათ წუთით და გაცოცხლდა
პატარა კახი.
სპარსული ქუდით, მჩატე ხმლით
და ვაჟკაცურ სახით.
დავუშვათ წუთით, მეფე ლომი,
მკვნეტელი რკინის,
როგორ შეხედავს აყვავებულ
დღევანდელ თბილისს?

ჰოდა ვაცოცხლებ, ლექსს სჭირდება
ეგ გაცოცხლება,
რომ თეთრ ქაღალდზე აციმციმდეს
ჩემი ოცნება.
რუსთაველზე ლურჯა ჩორთით მოჰყავს
მეფეს და მხედარს,
და საქართველოს აღზევებას
თვალნათლივ ხედავს:

„ვყოფილვარ მართალ, ო, მადლობა
მაღალო ღმერთო,
იმ ნაბიჯისთვის ჯვარს რომ მაცვეს
მავანთა ერთ დროს.
ეხლა რას იტყვით, ხვალ რა პირით
შემხვდებით ნეტავ!..“
თვალთაგან მეფის სიხარულის
ცრემლები წვეთავს.

და საქართველოს მთავარ გზაზე
მიფრინავს კახი,
ზეიმობს მისთვის სათაყვანო
ქართველი ხალხი.

## სამადლობელი

გადავასახლე სული ჩემი უწინდელ დროში,
მივყვები ლაშქარს ჩემი შუბით და ჩემი
დროშით.
მძლავრი სიმღერა ვაუგუნეთ, გამოვცდით
მცხეთას
და ურჯულოებს დავუყენეთ ჟუჟვა და
წყვეტა.
ვნახე დავითი, მეფე იგი მოსილი ნათლით,
ყველა ციხეებს ჩავუარე კახეთით,
ქართლით.
მერე თბილისში შემოვბრუნდი დაღლილი
ერთობ,
მადლობელი ვარ, ქვეყნის ჩემის
მფარველო ღმერთო!

## მიბაძვის მსხვერპლის გახსენება

გუშინწინ ღამე, საათის შვიდზე,
ძველ მოგონებებს ვიხვევდი თითზე,
ღუოდა ისევ ბუხარში ჯირკი,
და ვიხსენებდი მასხარას ცირკის,
რომელმაც ერთხელ, ათი წლის უკან,
მიბაძა ერთ-ერთ განთქმულ აკრობატს.
...და მის ქელეხში ვუსხედით სუფრას,
ყველა ისინი, ვინც აქ დაგვტოვა.

## მწერალი და სოფელი

ეთერ სახვაძე

# მთელი წლის საზრუნავი

ნარკვევი

რაჭის დამრეც ფერდობებზე დაკიდებული ვენახები ჯერ ისევ სიტკბოს აგროვებენ.

მთავარი მერთველე ამ კუთხისა ხვანჭკარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაა. რიონის ორსავ ნაპირს გასდევს მისი ზვრები.

სრულიად გაშავებულან სახელგანთქმული ალექსანდრეული და მუჯურეთული. სიმწიფეში შესულ ნაყოფს რაღაც განსაკუთრებული ძალა მისცემია, თითქოს თვალები ახელია და გიმზერს დაჟინებით, ისეთი დაჟინებით, რომ გაიძულებს მიიხედო.

და მაინც შემოდგომაზე თითქმის არაფერს ვიტყვი.

სხვა გარემოებებმა წამოიწიეს წინ და იმიტომ.

შემოდგომა მათს უკან დარჩა. თუმცაღა შემოდგომურად კი ირჯება და მთებს მიფარებულ მზეხავით ბრდღვიალით იტყობინება თავის ადგილ-სამყოფელს.

მაგრამ ასეც რომ არ იყოს, მისი დავიწყება არა და არ იქნება! პირიქით, თუ რამეს ვწერ — მისი მიზეზით და მისი გულისათვის — რაჭის შემოდგომისათვის.

შემოდგომა ხომ ჟამია წელიწადისა. ამ ჟამის მიხედვით შეიძლება მთელ წელიწადზე იმსჯელო. ასეთი შეჯამების დროს უფრო [illegible]

დასადგმელი ადგილი კი აღარ ჰქონდა და, რადაც უნდა დასჯდომოდა, მიწის მოპოვებას ცდილობდა.

მაგრამ რომ აღარ ერგებოდა?! რომ დაეკარგა უფლება თავის სოფელში მოსახლეობისა?!

ამის დაჯერება უმძიმდა. ამდენი ცარიელი სათიბებია, რა მოხდება, ერთი ხარის საბალახო მიუზომონ. სოფელს ამით არაფერი დააკლდება. მას კი ჯერჯერობით ძალ-ღონე ერჩის და შეუძლია მეურნეობას სარგებლობა მოუტანოს.

დირექტორმა იმედი გადაუწურა, თუმცა განცხადება კი დაიტოვა კომისიისათვის განსახილველად, დაღონებული წავიდა კაცი.

მისი სანაღვლელი კი ჩვენთან დარჩა განსახჯელად. გაგვახსენა ნათესავები და მეზობლები, ამ მთებიდან რომ ქალაქებში გადასახლდნენ, მათ შორის რამდენიმე მეზახტეც, მოუთმენლად რომ მოელიან ორმოცდაათი წლის შესრულებას, რათა თავის სოფელს დაუბრუნდნენ. ორმოცდაათი-ორმოცდათხუთმეტი წლის კაცი კი მეურნეობისათვის შეიძლება ბურჯადაც იქცეს, თუ აქ მისი მიღების საშუალება ექნებათ, თუ მისი შრომა დასჭირდებათ, თუ მუშა-ხელით განებივრებულნი არ არიან!

განებივრებულიო?

ამას გრძელი საუბარი მოჰყვა. ავთანდილ კობახიძემ დამაჯერებლობისათვის ციფრები მოიშველია: ათზე მეტ სოფელში ხუთასზე მეტი მშრომელია, ოღონდ ახალგაზრდობა ანუ შრომისუნარიანები — დაახლოებით მესამედი იქნება, რომელთაგან მარტო სოფლად მომუშავე ბევრად უფრო ნაკლებია. ისინიც თითქმის მთლიანად მეცხოველეობაში არიან დასაქმებული. მეურნეობას ჰყავს ორი ათასამდე მსხვილფეხა საქონელი და ხუთასამდე ღორი, აქვს თვრამეტი ფერმა. მოვლის გარდა, საჭიროა თივისა და სენაჟის დამზადება. ეს ძნელი საქმე მხოლოდ ჯანღონით სავსე ადამიანებს შეიძლება მიენდოს. ამიტომ ვენახები უმთავრესად ხანში შესულების იმედზეა.

მეურნეობის უმთავრესი გასაჭირი ისაა, რომ დიდად აკლია სწორედ ეს ძირითადი შრომისუნარიანი მუშახელი. ახალგაზრდობა ხომ აქ ჩვეულებრივ ორ უღელს ეწევა: საწარმოებშიც დგას და კოლმეურნეობებშიც. ხვანჭკარლებიც როდი არიან გამონაკლისნი: დილაობით ერთნი ალმა მიჰყვებიან ავტობუსებს, მეორენი — დალმა, მეურნეობა მათთვის შემოსავლის ერთადერთი წყარო როდია. მაგრამ მხოლოდ მადლობა ეთქმით, რადგან იქაც ძალზე საჭირონი არიან.

ამან გამახსენა, რასაც წინდღით ამბროლაურის სოფლის მეურნეობის სამმართველოში ამბობდნენ: ძირითადი მუშახელის საშუალო ასაკი ჩვენს სოფლებში სამოცდაორი წელიაო.

თვალწინ დამიდგა მეურნეობის სანახები, ჯერ — რიონის მარჯვენა მხარე, ნაშუადღევის თბილი მზისკენ მიპყრობილი, სადაც ჩამწკრივებულან განთქმული მეღვინე სოფლები ხვანჭკარა, ჩორჯო, ტოლა...

თვალწინ დამიდგა ეს ზვრები [illegible]

წინავე მევენახეებად თითქმის სულ ბერიკაცობა რომ ჩამომიხსენეს: ჩორჯოელი ერმილე ვაჭაძე და ერასტი გვენცაძე, ბუგეულელი ბიკენტი ბუაძე და დავით ჭმუხაძე, ხვანჭკარელი გოგია ტყეშელაშვილი და გალაქტიონ ნემსიწვერიძე...

გალაქტიონი გამაცნეს, სამოცდათვრამეტი წლისაა, ის დრო ახსოვს, „ხვანჭკარას" რომ ყიფიანის ღვინო ჰქვიოდა. განთქმული მამულები ჰქონიათ ყიფიანებს ხვანჭკარაში. რთველი შუა ნოემბერში იწყებოდა. ყურძენს შეჭკნობამდე აცდიდნენ. ღვინო დგებოდა მართლაც უბადლო. გალაქტიონს ვერ გაუგია, ადრე დაკრეფაში რა სიკეთეა. რაც უფრო დავამწიფებთ მტევანს, ღვინოსაც ხომ უმჯობესს დავწურავთ? რატომ ეჩქარებათ ქალაქელებს ყველაფერიო.

— თქვენი ლაპარაკი, ბატონო გალაქტიონ, ჩვენი წარნის მეღვინისას მაგონებს, — სიტყვა ჩაურთო გრიგოლ სოხაძემ, პარტიული კომიტეტის მდივანმა, — ისიც სულ ყურძნის ხარისხს გვთხოვს. მაგრამ, დალოცვილებო, წონაც ხომ გვინდა, მოსავლიანობის გეგმები თუ ვერ სრულდება, ხომ უნდა ვეცადოთ, შესრულდეს... მოსავლიანობის გეგმები, — გამოცალკავებით გაიმეორა, — თორემ დამზადების გეგმებს ავად თუ კარგად თავს ვართმევთ მოსახლეობისაგან ჩაბარებული ყურძნით და მთლად პირშავად არა ვართ.

გალაქტიონი წავიდა, მხრებში მოხრილი, გამხდარი, ტანმორჩილი ბერიკაცი. ვინ შესცვლის ამ ღირსეულ ხალხს და მათს თავდადებით აღსავსე სიყვარულს? ვინ დაუდგება აქ ამ მცირემოსავლიან ვაზს, ამ ფერდობებად დაკიდებულ მიწას, რომელსაც ვერავითარი ტრაქტორით ვერ მიუდგები? ხოლო განა ბევრნი შეგროვდებიან ისინი, ვინც ხელით ბარვა-თოხნას დაამჯობინებენ ქალაქურ გამგონე მანქანებთან მუშაობას? საამისოდ საჭიროა იმგვარი სიმტკიცე და სიჯიუტე, თავის დროზე უშგულელებმა რომ გამოიჩინეს. უშგული — ევროპაში ეს ყველაზე მაღალი დასახლება — როცა ჩვენი მთის სოფლების მოსაშლელად საგანგებო დადგენილებებიც კი გამოდიოდა — წინ აღუდგა განკარგულებას, არ აიყარა, არ დათმო, არ გადასახლდა შეთავაზებულ ზღვისპირეთში. სიმწირე და მოუსავლიანობა, იქ რომ არის, ხომ ძნელად წარმოსადგენია: სიმინდი და ხორბალი რომ ვერ ასწრებს შემოსვლას, ის მხარეა უშგული... შხარა რომ გვერდით კედლად უდგას და ენგური ღელისოდენა მოედინება, იმ ხალხის გაუტეხლობამ ქმნა, რომ უშგული დღესაც სოფლობს. მაგრამ მისი მაგალითი მიწის უჩვეულო ერთგულებისა ვერ განზოგადდება და მარტო შეგონება ვერ გაჭრის.

უფრო ხელშესახები დახმარებაა საჭიროო, — ასე ფიქრობენ მასპინძლები.

...აქედან რიონს გაღმა მხარეც კარგად მოჩანს — იქ ვენახები მხოლოდ ქვემო ზოლშია. მთები ბევრად მაღლებია, ტყიანები და სათიბებიანი. ზოგი სოფლის უგზოობა შორიდანაც საცნაურია. ძნელი არაა ივარაუდო, რომ ამგვარ სოფლებს თანამედროვე ახალგაზრდობა იშვიათად თუ შერჩება. ამის მაგალითიც აქვეა: ერთი გაღმელი ქალიშვილისა, რომელსაც [illegible]

ნებთან დაკავშირება; ქალიშვილი როგორღა გავამტყუნოთ, — კეთილი სიტყვა შეაწიეს იმ გოგოს.

ამ საუბრიდან ორი რამ ჩავინიშნე.

ერთი, რომ დღეს საავტობუსო მიმოსვლა ყველა სოფელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს;

და მეორეც: არა მგონია, ყოველმხრივ მიზანშეწონილი იყოს ძნელად მისასვლელი, მთებში გაფანტული ათი-თორმეტი სოფლის ერთ მეურნეობაში გაერთიანება, მით უფრო, როცა შუაში დიდი მდინარეც ჩაუდის, შენს ნებაზე რომ ვერ გადახვალ და შორით უნდა უარო.

ეს შეიძლება ბარში წვრილმან საკითხადაც მომჩვენებოდა, მაგრამ მთაში სხვა მნიშვნელობით წარმომიდგა და ყველა შენიშვნა, რომელსაც აქაურები გამოთქვამდნენ, აწონ-დაწონის ღირსად მივიჩნიე, იმ საერთო მიზნის სასწორზე აწონ-დაწონის ღირსად, რომ ხელი შევაშველოთ სოფლებს, რომლებსაც ახალგაზრდობა გაურბის.

არ ვაზვიადებ. მე ვნახე ჭვარისის ორსართულიანი ნასკოლარი, ფანჯრებ-ჩაცვენილი და დაყრუებული, ამ ოცი წლის წინ კი მრავალრიცხოვანი მრევლი დაუდიოდა და თავისი კაბინეტ-ლაბორატორიებიანა ერთ ცვლად მუშაობდა. შევხვდი მის ყოფილ პედაგოგებს, რომელთაც უცრემლოდ ვერ გაუხსენებიათ, როგორი სიხარულით ეზიდებოდნენ ქვასა და ღორღს მის მშენებლობაზე. სკოლა სოფლის თავში ააგეს, რომ ქედისუბნელი ბავშვებისთვისაც მისადგომი ყოფილიყო. დღეს კი არც ქედისუბანში, არც ჭვარისის ზედა კუთხეში ბავშვებიანი ორი ოჯახიც აღარ დარჩენილა, რომ თუნდაც ერთი დაწყებითი კლასი შეკოწიწებულიყო, სკოლები დახურულა ამ მეურნეობის სხვა სოფლებშიც: გორისუბანში, აბანოეთში, ბარეულში, პირველ ტოლაში...

ეს ამბავი ყველას აღელვებს და იმის ფიქრში არიან, თუ რით შეიძლება საქმეს უშველონ.

ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ უპირველესი პირობაა მეურნეობის შეძლებულობა.

ისინი დარწმუნებული არიან, რომ მუშახელის ნაკლებობას და ამ ნაკლებობით გამოწვეულ ზიანს ტექნიკა უშველის.

მაგრამ როგორ უნდა გამოიყენონ ტექნიკა იმ ფერდობებში?

იმედიანი ადამიანები არიან ხვანჭკარაში და გულდაჯერებით ელოდებიან, რისი მოლოდინიც სულ ოდნავ მაინც შეიძლება.

ავთანდილ კობახიძე ამბობს: წელს ამინდებმა არ გაგვიმართლაო. გაზაფხულზე ისეთი ყინვები დაიჭირა, ვენახებში ცეცხლს ვანთებდით. მერე გამოფოთლილ ვაზზე დაგვითოვა. მერე წვიმდა და ავადმყოფობა შეეპარა ალაგ-ალაგ. მაგრამ, რაც ამათ გადარჩა, ზაფხულის გვალვებმა მოხპოო. ძაღლყურძენასავით დაწვრილებულია მტევნებიო. შეგვეძლო ჭალის ვენახების გადარჩენა, შეგვეძლო რიონის ორივე ნაპირის გასარწყავება, ოღონდ ტუმბოები უნდა დაიდგას და წყალგაყვანილობა დამონტაჟდეს. ამას კი მზრუნველობა, დახმარება და დამხმარეები სჭირდებაო.

მერე მზიანი ფერდობისაკენ გაიხედა და თქვა: რომ იქ აუცილებლად უნდა აალწიოს მცირე მექანიზაციამ, რომ აქვთ მექანიკური თოხის მოლოდინი, რომ ელოდებიან ხელის მოტორიზებულ მანქანებსა და აპარატებს... ოღონდ ეს საქმე უნდა დაჩქარდეს, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებიდან დაწყებული, აქაური კადრების მომზადებით დამთავრებულიო.

და ციფრებით აღჭურვილი, დიდხანს გვიმტკიცებს, რამხელა სარგებლობას მისცემდა მათ ეს მცირე ტექნიკა.

მეურნეობაში ვენახების ხუთ მეექვსედზე მეტი ხელით მუშავდება. 168 ჰექტარიდან მხოლოდ 32 ჰექტარია სამექანიზაციო... ამბროლაურმა ვერ შეასრულა ახალი ვენახების გაშენების ხუთწლიანი გეგმა. 300 ჰექტარის ნაცვლად 60 ჰექტარი შეიმატა. გაუგებრობა იყო ასეთი დაგეგმვა, რადგან ახალი ვენახები მარტო სამექანიზაციო ფართობებზე უნდა გაშენდეს, რაც რაიონში ძალზე ცოტაა — მთლიანად 100 ჰექტრამდე თუ გამოვა.

სამაგიეროდ ფერდობებზე ბევრი საუცხოო მიწაა. მარტო ხვანჭკარის მეურნეობაში 100 ჰექტრამდე სავენახე გამოინახება. გააშენებდნენ კიდეც, ხარჯებს არ მოერიდებოდნენ — თუმცა ჰექტარი ახალშენი 10 ათასი მანეთი ჯდება, მაგრამ ვერ დაამუშავებენ და წყალში ჩაეყრებათ შრომა. ჰექტარი ვენახის ხელით მოვლას ოთხი კაცი მაინც სჭირდება. 400 საკუთარი მუშა კი მთელს მეურნეობაში არ მოიპოვება. მცირე მექანიზაცია ამ სხვა დიდ საქმეებთან შეჭიდების საშუალებას მისცემდათ.

მაგრამ ეს მარტო ნივთიერ კეთილდღეობას როდი მოიტანდა. თანამედროვე ახალგაზრდა ფართოდაა ინფორმირებული ტექნიკის მიღწევების შესახებ. მან იცის, რომ ბარის სოფლებში შრომა ძალიან გაადვილებულია მობილური მექანიზაციის წყალობით, ამიტომ სულითა და გულით ესწრაფვის და თანაუგრძნობს სიახლეებს და თავისი გარჯა ტექნიკის გარეშე ვეღარ წარმოუდგენია. მის თვალში მამაპაპურმა თოხმა დიდხანია დრო მოჭამა. მაგრამ თუ მის ნაცვლად ხელთ ექნება მანქანა, როგორი მარტივიც არ უნდა იყოს, ახალგაზრდა იგრძნობს — თანამედროვე სოფელში ცხოვრობს და თანამედროვე მეურნეა. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს მისი განწყობილებისა და თვითშეგნებისათვის. იგი სიხარულით მოეკიდება ყველა წამოწყებას, თუნდაც ახალი ვენახების შემატებას.

ამ საქმეს კი მეურნეობის გასაღონივრებლად უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ: წმინდა ჯიშების მსხმოიარობა განსაზღვრულია. ზომაზე მეტად დატვირთული ალექსანდრეული და მუჯურეთული ნაყოფს რიგიანად ვერ ამწიფებს და „სახვანჭკარე" მასალასაც ვერ გვაძლევსო. ქვემო რაჭა და სახელდობრ, ხვანჭკარა თავის ირგვლივი სოფლებით კი ის უბანია, სადაც ეს ჯიშები მთლიანად ავლენენ სასწაულებრივ ძალას შაქრის დაგროვებისა. სხვაგან, ამ მიდამოებს მიღმა, სამარკო ღვინო არ დგება, თუმცა ეს ჯიშები მთელს რაჭაშია გავრცელებული: ამიტომ მეურნეობის ყველა ფერდობი, სავენახედ ვარგისი, უთუოდ ვენახად უნდა ვაქციოთო. ისე არ გაგვიგოთ, თითქოს მოსავლიანობის ზრდის წინააღმდეგი ვიყოთ, ისიც უნდა გავზარდოთ, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რომ ყურძნის ხარისხი არ დაზიანდესო.

სიტყვა არ შემიბრუნებია, თუმცაღა მქონდა საკითხავი. წინდღით ამბროლაურის სახოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მევენახეობის მასწავლებელმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა დავით ბარსონიძემ გამაცნო ის მეცნიერული მუშაობა, რასაც საქართველოს მებაღეობა-მევენახეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელობით ეწევიან: მათს ნაკვეთებში აღირიცხება ალექსანდრეულისა და მუჯურეთულის განსაკუთრებით მსხმოიარე ძირები, რომელთა კვირტებს სამყნობად იყენებენ და ამ გზით ცდილობენ გამოიყვანონ დიდად ნაყოფიერი ნერგები, გაავრცელონ და მიაღწიონ საჰექტრო მოსავლიანობის ზრდას, დღევანდელი 30 ცენტნერის ნაცვლად 60 და 90 ცენტნერი მიიღონ.

არ ვიცი, როგორ შეიძლება ეს საწინააღმდეგო შეხედულებები ერთმანეთს შევუთავსოთ, ან — რომელი უკუვაგდოთ. ეს კია, ერთიც და მეორეც კეთილ მიზანს ისახავს: გაიზარდოს „ხვანჭკარის" წარმოება, და უნდა ითქვას, ეს დიდი სამეურნეო მიზანია, ამის მიღწევა აუცილებელია ამ კუთხისათვის და, კერძოდ, ამ მეურნეობისათვის.

ამიტომ მასპინძლების მოლოდინს არ შეიძლება შენი მოლოდინიც არ შეუერთო და მათს გულშემატკივრად არ იქცე, მეურნეობის შეძლებულობის ზრდა ხომ, როგორც აქ სჯერათ და შენც არ შეიძლება არ ერწმუნო, — ერთ-ერთი პირობაა ახალგაზრდობის მთაში დასარჩენად.

გარდა ამისა:

აქ ოცნებობენ ისეთი პატარ-პატარა საწარმოების გახსნაზე, მიწის სამუშაოებისაგან თავისუფალ დროს რომ ხალხს დაასაქმებს. რაჭველი კაცი ადრეც მიდიოდა ბარში, ზამთრის ხუთი-ექვსი თვე შინ უქმად რა გააძლებინებდა, როცა თავის გატანა უჭირდა. ეს სილარიბე დიდი ხანია მოგონებად იქცა, მაგრამ მთა მაინც ჩამორჩება ბარს. ქალაქში უფრო უკეთესი პირობები ეგულება. და თუ კაცი წავიდა, იშვიათად, რომ მობრუნდეს. სეზონური საამქროები კი დამატებითი შემოსავლის წყარო იქნებოდა.

ეს საწარმოები ახალგაზრდობას მიიზიდავდა უფრო იმიტომაც, რომ მას საზოგადოებასთან ურთიერთობის დიდი წყურვილი აქვს. თანამედროვე ქალ-ვაჟებისთვის ნახევარწლიანი კარჩაკეტილი ცხოვრება აუტანელი სასჯელია. მათ სტანჯავთ ისიც, რომ შეუძლიათ მეტი გააკეთონ, ასპარეზი კი არ გააჩნიათ.

ხვანჭკარაში ფიქრობენ, რომ კარგი იქნებოდა, თუ აქ აშენდებოდა „ხვანჭკარას" და „თეთრას" სასუვენირედ ჩამომსხმელი მარანი, სამკერვალო და კიდევ რაიმე შესაფერისი, რომ ყველა მსურველს სამუშაო ჰქონდეს.

თუ სოფლად დამკვიდრდება მცირე მექანიზაცია, რომელიც შრომას სრულიად შეუცვლის სახეს, და, მაშასადამე, აამაღლებს სოფლის შეძლებულობის დონესაც, თუ ყველა სოფელში იქნება საავტობუსო მიმოსვლა, თუ ყველას საშუალება ექნება ზამთარშიც იშრომოს და ქვეყანას არ მოსწყდეს, ესე იგი, თუ მთის სოფელი თანამედროვე სოფლად იქცევა, ახალგაზრდობის დიდი ნაწილი მას აღარ მიატოვებს.

რასაკვირველია, ამ საჭიროებათა გვერდით სხვაც არაერთი გამოჩნდება, მათი დაწვრილებითი შესწავლა აუცილებელია და ყველა ეს რომ შევაერთოთ, ძალზე ბევრი რამ მოიყრის თავს.

მაგრამ აქაურნი დიდი იმედით შეჰყურებენ უახლოეს ხვალინდელს.

ეს იმედი ემყარება იმ ნათელ მაგალითებს მთის აღორძინებისა, რაც უკანასკნელ ხანს სამთავრობო ღონისძიებების შედეგად ჩვენში ასე მომრავლდა და საყოველთაო მადლიერების გრძნობას აღძრავს.



ზეიმი თბილისში. ფოტო მურმან ჩაჩუასი.

## „ქართველი პოეტები თბილისს"

„თბილისქალაქობამ" — საერთო-სახალხო დღესასწაულმა, რომელშიაც მონაწილეობდნენ ჩვენი რესპუბლიკის ყველა რაიონების მშრომელები, სტუმრები მოძმე რესპუბლიკებიდან, საზღვარგარეთიდან, ფართო გამოხმაურება ჰპოვა პრესაში, რადიოსა და ტელეგადაცემებში:

ამ დიდი დღესასწაულის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოხატულება იყო გაზეთ „თბილისში" 25 ოქტომბერს დაბეჭდილი გვერდი, რომელიც მოამზადა საქართველოს მწერალთა კავშირმა. გვერდზე — „ქართველი პოეტები თბილისს" დაბეჭდილია თანამედროვე პოეტების ლექსები. ლექსებში ქართველი პოეტები უმღერიან ძმობის, მეგობრობის, სიყვარულის ქალაქს. გაზეთმა თავის მრავალათასიან მკითხველებს კიდევ ერთხელ შეახსენა ძველ, მაგრამ მარად ახალგაზრდა ქალაქზე თქმული სიყვარულის სტრიქონები.

# მეტაფორა თანამედროვე პოეზიაში

თადეუშ რუჟევიჩი

თანამედროვე ლირიკული პოეზიის მუსიკისაგან გამიჯვნა ხილული ამბავია და ამას უნდა შეურიგდე კაცი. მაგრამ ისე ნუკი გეგონებათ, თითქოს, როცა პოეზიას ერთ ფრთას ვაჭრი, ვაიძულებ იფრინოს მეორე ფრთით, რომელსაც მეტაფორას ვუწოდებთ. მინდა გავიზიაროთ საკუთარი გამოცდილება, რაც ლექსის წერის პროცესში დამიგროვდა. რა თქმა უნდა, ლაპარაკით მხოლოდ პირადულ შენიშვნებზე ვილაპარაკებ. ასე რომ ეს თანამედროვე პოეზიის გაანალიზების ცდა კი არ იქნება, არამედ იმ ეჭვების გაზიარება, რითაც აღსავსეა ჩემი პოეტური ყოველდღიურობა.

მუსიკა — ბგერა და სახე — მეტაფორა, ჩემი შეხედულებით, არ გახლავთ ის ფრთები, რომელთა მეშვეობით პოეზია შემოქმედისაგან მკითხველს გადაეცემა, არამედ ზედმეტი ტვირთია, რომელიც უნდა მოიცილო, თუკი გინდა პოეზიამ სული მოითქვას და გინდ გაფრენის თავიც აღარ ჰქონდეს, სიცოცხლით მაინც იცოცხლოს.

კი ვიცი, რომ ასე და ამნაირად შეიძლება პოეზიას თავი მოაკვლევინო, სულმთლად დაამუნჯო, მაგრამ, მგონია, მაინც უნდა გაბედო.

მე თვითონ ჩემი ლექსების უმრავლესობაში ვიყენებ სახეებს. სახე-მეტაფორები ჩემი ლექსების ძირითადი ელემენტებია, მაგრამ საქმეს ის ართულებს, რომ მთელი ჩემი შემოქმედებითი მოღვაწეობის მანძილზე გამუდმებით ვებრძვი მას, ერთი სული მაქვს, როდის ვიხსნი თავს მეტაფორისაგან.

არისტოტელედან მოყოლებული, პოეტები და კრიტიკოსები ერთხმად ამტკიცებენ, პოეზიაში ყველაზე მთავარი მეტაფორის ზუსტი ხმარებაა და პოეტის თავისებურებაცა და გენიალობაც ამაზე ჰკიდიაო. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ უარი ვთქვით მეტაფორაზე, მაშინ რაღა დაგვრჩება? მართლაც რა საშინელებაა! გვრჩება მხოლოდ ერთი მუჭა სიტყვები, პროზა, პოეზიისათვის უცხო რამ. ამასთან უნდა შევნიშნო, რომ მეტაფორა კვლავ თანამედროვე პოეტების მისწრაფებათა უმაღლესი მიზანია. პოეტები მას მკითხველის გულისთვის იყენებენ. მასში ეძიებენ წარმოსახვასა და სამყაროზე თავისებურ წარმოდგენას. ჩემთვის ეს უსარგებლო მისნურ-ჯადოსნური წეს-ჩვეულებებია. ეს იმ ადამიანების ხრიკებია, რომელთაც სწამთ განყენებული პოეზია.

მინდა ისევ ჩემს გამოცდილებას მივუბრუნდე. არა, მაგალითებს არ გადავწვდები, რადგან ეს მხოლოდ გააბუნდოვნებდა საერთო დასკვნას. ჩემს პოეზიაში მეტაფორა ხშირად თითქოსდა ჩრდილავს ნამდვილ არსს პოეზიისა, რომელიც ყოველნაირად ლამობს მისგან თავის დახსნას. საქმე ისაა, — კიდევ გავიმეორებ, — შესძლებს თუ არა მეტაფორისაგან თავდახსნილი პოეზია სისხლსავსე სიცოცხლეს ისე, რომ არაფერი დააკლდეს, თავისი თავი შეინარჩუნოს. ამას როცა ვამბობ, ვგულისხმობ ჩემს პოეტიკაში მიმდინარე პროცესებს. ძალიან ხშირად შემიპყრობს ხოლმე ცდუნება — ჩემს თავს, როგორც პოეტს, ისეთი დარტყმა მივაყენო, რომ მოვსხიპო ყველაფერი, რაც პოეტურ ნაწარმოებს სილამაზეს, სინათლესა და მომხიბვლელობას ანიჭებს. პოეზია თითქოს საკუთარ თავს აუჯანყდა.

არა მგონია, პოეზიამ შესძლოს მეტაფორაზე უარის თქმა; შორსა ვარ იმისგანაც, ვინმეს ამდაგვარი შეხედულებები თავს მოვახვიო, მაგრამ მე თვითონ გამუდმებით ვეძიებ ამ მიმართულებით, სხვადასხვა მხრიდან ვებრძვი სახეებს და ვცდილობ მოვიშორო, როგორც სამკაული, ზედმეტი რამ. ჩემი ფიქრით, თანამედროვე ლირიკა გრძნობისა და მოვლენის, გრძნობისა და საგნის ურთიერთშეხვედრის შედეგია. სახე-მეტაფორას შეუძლია ამ დროს ერთგვარი დამხმარე როლის შესრულება, მაგრამ ეს აუცილებელი არ არის. მეტისმეტად გართულებული მეტაფორა ხელოვნური, გამძაფრებული წარმოსახვის ნაყოფია და ლირიკულ ლექსში ჰკლავს ლექსის არსს, მის მაცოცხლებელ ღვრიტას. ბოლოს და ბოლოს, ის თავის თავსაც ღუპავს, ვინაიდან ვერ გვიქმნის წარმოდგენას თვით ლექსში გათამაშებულ შინაგან ნამდვილ დრამაზე. სახეთა სიმრავლე არ ქმნის პოეზიას, ეს მისი ყველაზე ზედაპირული შრეა; და რაც უფრო რთული, ღვლარჭნილი და გატყლარჭულია ლექსის გარეგნული ფორმა, მით უარესია ლირიკისათვის, რომელსაც ხშირად ვერაფრით ვერ გაუგნია გზა პოეტის მიერ ერთმანეთზე დახვავებულ მოჩვენებითს სილამაზეში.

აქედან გასაგებია, რომ განსაზღვრულ ეტაპზე მეტაფორათა შექმნის მთელ ჩვენს უნარსა და პოეტურ გამოცდილებას აზრი ეკარგება, თუმცაღა ამას კრიტიკოსთაგან მეტად ქებული უდიდესი კულტურა, მონდომება, თავისთავადობა და მრავალი სხვა თვისება სჭირდება. ერთი სიტყვით, მე თუ მკითხავთ, მეტაფორის, როგორც ავტორისაგან მკითხველისკენ „ყველაზე უფრო სრულყოფილი და მოძრავი მეგზურის" როლი, ძალზე საკამათოა.

პოეტი მეტაფორის მეშვეობით თითქოს ასურათხატებს ლექსს, ასურათხატებს პოეზიას. ამასთან მოვლენები და ამ მოვლენებით აღძრული გრძნობები არ ესწრაფვიან ყველაზე სრულქმნილი და ლამაზი სახე-მეტაფორით გადმოცემას, ისინი თვითონ წარმოგვიდგენენ საკუთარ თავს, დაუყოვნებლივ და უშუალოდ წარუდგებიან მკითხველს და გულს გადაუხსნიან.

მეტაფორა, შედარება კი არ აახლოებენ, არამედ აშორებენ მკითხველს პოეტური ნაწარმოების ნამდვილ, ჭეშმარიტ არსთან. ლექსი, ჩემი ფიქრით, ავტორისაგან პირდაპირ მკითხველისკენ უნდა გაემართოს და არ შეჩერდეს თუნდაც ყველაზე ლამაზ, ესთეტიკურად სრულყოფილ სტილისტურ სახეებზე. აი, სწორედ ამაშია ძირეული განსხვავება ჩემს გამოცდილებას, ჩემს პოეტურ პრაქტიკასა და მას შორის, რაც პოლონურ პოეზიაში ავანგარდისტული დაჯგუფების პოეტებმა შექმნეს.

პოლონურიდან თარგმნა
გიორგი მაჭუტაძემ.

## „კრიტიკა" № 3

გამოვიდა ალმანახ „კრიტიკის" 1980 წლის მესამე ნომერი. იგი იხსნება სარედაქციო წერილით „პარტიასთან, ხალხთან ერთად!" ნომერში დაბეჭდილია თეიმურაზ დოიაშვილის „ზოგიერთი მოსაზრება ერთ პოეტურ კრებულზე", თენგიზ თენეიშვილის „დრამატურგია და ცხოვრება", ლევან ბრეგაძის „რომანი და ტენდენციურობა", გივი ჩხიკვიშვილის „სიკეთის წყურვილით", თენგიზ ჩხაიძის „სამოციანელთა მხატვრული პროზის სიახლე", ენვერ ნიჟარაძის „პოეტის ესთეტიკური მრწამსი", ლეილა ერაძის „სულეიმან რუსთამი", ჯემალ ქირიას „იბერიული ამერიკის თანამედროვე ლიტერატურა და „ახალი რომანი", თინა კობალაძის „ნიკოლოზ ტიხონოვის გახსენება", ოთარ ჭუროღულიას „სულზე უფრო საყვარელო", რევაზ დანელიას „წავიდა თოვლი...", სოლომონ ხათაშვილის „ორი სიტყვა პოეტის ახალ წიგნზე", ლეილა მესხის „კრიტიკოსის აზრით". რუბრიკა „გამოვიდა" მკითხველს აცნობს ახალ კრიტიკულ და ლიტერატურათმცოდნეობის გამოცემებს.

## საშემოდგომო გამოფენა

„მხატვრის სახლში" გაიხსნა ტრადიციული საშემოდგომო გამოფენა. აქ წარმოდგენილია ქართველ მხატვართა ახალი ფერწერული ტილოები, ქანდაკება, გრაფიკა, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები.

ახალი საშემოდგომო გამოფენა თემატურად მრავალფეროვანია, ყურადღებას იქცევს მხატვრული ძიებებით, სხვადასხვა თაობის მხატვართა თავისებური ხელწერით.

გამოფენა, რომელიც აჯამებს საქართველოს მხატვართა ერთი წლის შემოქმედებითს შრომას, კრიტიკისა და ფართო საზოგადოებრიობის მსჯელობის საგანი გახდება.



წერილი რედაქციას

## მივხედოთ მწერლის სახლ-კარს

წელს სრულდება 150 წელი ცნობილი ქართველი მწერლის დანიელ ჭონქაძის დაბადებიდან.

ამ საიუბილეო წელს მწერლის მშობლიურ სოფელ ყვავილში გახლდით, ვნახე სახლი, სადაც დაიბადა და ცხოვრობდა დანიელ ჭონქაძე... ეზო მოროღვეულია და უსუფთაო, სახლის სახურავი დაზიანებულია, კედლები — დაბზარული. ოდესღაც დამზადებული მემორიალური დაფა სარდაფში გდია.

ყოველივე ამის მნახველს არ შეიძლება გული არ დაგწყდეს, არ შეიძლება გულისტკივილით არ გაიფიქრო, რომ „სურამის ციხის" ავტორი მეტი ყურადღებისა და დაფასების ღირსია.

პირველ რიგში აუცილებლად უნდა შეკეთდეს მწერლისეული სახლი, გადაკეთდეს სახლ-მუზეუმად. სოფელი ყვავილი დუშეთის რაიონული ცენტრიდან სულ ოთხიოდე კილომეტრზეა, სახლ-მუზეუმს მნახველი არ მოაკლდება. ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა დღესაც ხომ დიდის ინტერესით კითხულობს დანიელ ჭონქაძის მშვენიერ წიგნს. ჩვენი ვალია მომავალ თაობას მწერლის სახლ-მუზეუმიც შემოვუნახოთ.

ვლადიმერ გოგიბერიძე

გამოდის პარასკეობით

ფასი 10 კაპ.

ლიტერატურული საქართველო,

რედაქციის მისამართი,
380004, თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 7.

ტელეფონები:
რედაქტორის — 99-84-04, პასუხისმგებელი მდივნის — 99-91-89, განყოფილებების — 99-67-10.

მთავარი რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია: თ. ბექიშვილი, თ. ბიბილური (პასუხისმგებელი მდივანი), წ. გურაბანიძე, ნ. გურეშიძე, ი. თარბა, რ. ინანიშვილი, ა. კალანდაძე, ჯ. ღვინჯილია, ო. ჩხეიძე, ს. ცაიშვილი, თ. ჭილაძე, შ. ხალვაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. ИНДЕКС 66436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. უე 10851